# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 175 ჰარასკევი, 8 აგვისტო 1909 წ. № 175

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტისა ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოეჯერ ხალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ.. ღთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ის განცადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვი, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და ხახაბეჭდი განცხადებანი მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ... საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები ... და მცირე წერილებს და კორესპონდენციებს ... ზება. ინახება ერთის თვით მხოლოთ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



## დროება

ყოველ დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს ყოველკვირეული

## სურათებიანი დამატება

გაზეთის ფასი დამატებიანა: პირველ აგვისტოდან წლის ბოლომდე—4 მ. 40 კ., ერთი თვით 1 მან.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ხელის-მოწერა შეიძლება რედაქციის კანტორაში: დიდი ვანქის ქუჩა, N 12, დილით 9-დან 3 საათამდე. საღამოთი 5-დან 8 საათამდე.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Дроэба" И. С. АГЛАДЗЕ.


6 აგვისტოს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მეტეხის ციხეში გარდაიცვალა მეორე სახ. სათათბიროს ყოფილი დეპუტატი და ჩვენი გაზეთის თანამშრომელი

### სევერიან მოსეს ძე ჯუღელი,

რასაც ღრმად შეწუხებული ყოფილი თანამშრომელნი გაზ. „ჩვენი აზრისა" აუწყებენ ნაცნობებს და ამხანაგებს. მიცვალებულს გამოასვენებენ 9 აგვისტოს დილის ცხრა საათზე თუმანოვის ქუჩიდან № 26, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში და აქედან კუკიის სასაფლაოზე. (2—1)

6 აგვისტოს მეტეხის ციხეში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მეორე სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი

### სევერიან მოსეს ძე ჯუღელი,

რასაც ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგთ მეუღლე განსვენებულისა ალექსანდრა სიმონის ასული ჯუღელისა და შვილები: მარგარიტა, ნორა. სონა და ვალენტინა. და ამხანაგები განსვენებულისა დაკრძალვა დანიშნულია კვირას, 9 აგვისტოს დილის 9 საათზე. გამოასვენებენ ბინიდან (მეორე თუმანოვის ქუჩა, № 16). ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, იქიდან წირვა-პანაშვიდის შემდეგ წაასვენებენ კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. (2—1)

ანნა სვიმონის ასული ჯოხაძისა, მარიამ გიორგის ასული კეჩხუაშვილისა, გიორგი და მიხეილ დავითის ძენი კეჩხუაშვილები, ალექსანდრე (საშა) და ანიჩკა ჭამპურიძენი, ივანე და ილიკო ყორანაშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ და დაუვიწყარ მეუღლის, მეორე—ძმის, დანარჩენნი—ძვირფას ბიძის

### გლახა გიორგის ძე ჯოხაძისას.

პანაშვიდი 6 და 7 აგვისტოს საღამოს 7 საათზე, საკუთარ სახლში—ჭავჭავაძის ქ., ლევონდის შესახვევი, № 5. გამოსვენება შაბათს 8 აგვისტოს დილის 10 საათზე, კალოუბნის ეკლესიაში. დაკრძალვა წმ. ნინოს ეკლესიის (კუკიის) სასაფლაოზე. (2—399—2)

გულ დამწვარი მშობელნი დეკანოზი ნიკოლოზ გიორგის ძე ნათიძე და მეუღლე მისი დარია ილიას ასული შვილებით, მღვდელი ვასილ გიორგის ძე ნათიძე და მეუღლე მისი ნინო გრიგოლის ასული შვილებით და ოლია ზაქარიას ძე პეტრიაშვილი შვილებით აუწყებენ ნათესავ-თა, ნაცნობთ, ამხანაგთ (გარდაცვალებულის) და მეგობართ, რომ ორმოცის წირვა და პანაშვიდი პირველთა—დაუვიწყარ შვილის, მეორეთა—საყვარელ ძმის წულის და მაზლის წულის, ხოლო მესამის—ძვირფას შვილის-შვილის, ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტის

### ილია (ილუშა) ნიკოლოზის ძის ნათიძის

სულის მოსახსენებლად გადახდილი იქნება ტფ. წმინდა ნიკოლოზის სამხედრო ტაძარში (ალექსანდრეს ბაღში) ორშაბათს, 10 აგვისტოს. დასაწყისი წირვისა 9 საათზედ. (1—401—1)


ექიმ ვ. ღამბაშიძის

## სანატორიუმი

გაიხსნა 15 ივნისს. არის რამდენიმე ადგილი მოზრდილთათვის საერთო ოთახებში.

დაწვრილებითი პირობები წერილით ბორჯომს.

Въ мѣст. Боржомъ. Платформа Гамбашидзе, Санаторіумъ Гамбашидзе. (0—23)

ექიმი კ. თ. ტუღუშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7: კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა (70—კვ.—31)

კაბინეტი კბილის საექიმო ა. ა. თათევოსოვი (ყოფილი თანაშემწე ლ. მტრეიზერისა) რაზიეზჟაის ქუჩა, სახლი N 19, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. იღებს კბილით და ღრძილით ავადმყოფებს დილით 9—2 ს.. საღამოთი 4—7 საათამდე. (25—323—24)

ექიმი ა. ს. ალადაშვილი ბორჯომში, ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიულ საფაკულტეტო კლინიკისა, იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 11—1 ს. საღამოთი 6—7 ს. ურუსოვსკის ქ., N 34, აგარაკი ზუბალაშვილისა. (25—321—24)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ., N 4. სახლი გაბაშვილისა. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დეიიდოვი და ვ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის ჩაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბონოვის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—220)

ექიმი ზ. მაზაკიანი შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა. ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს. მიხეილის პრ., N 36, ს. ჭავჭანიძისა. (100—ხალ.—7)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი კაკიტელაშვილი ქუთაისში 9 ივლისიდან ავადმყოფებს მიიღებს ხონის ქუჩაზე, თოფურიასეულ საავადმყოფოსთან მიიღებიან შინაგ., ბავშვთა და ქალთა ავადმყოფობით სნეულნი. დილით —11 ს. საღამოთი 5—7 ს. (100—6.—36)

ექიმი ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს ხაღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსა მ. ბიდევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 საათ. ვერა ყორდანოვის ქუჩა, საკუთ. სახლ. N 20, ტელ. 791. (9. 130

საფერშლო-საბებიო სკოლა. გორში მქონ ნემსტუბეს სამკურნალოსთან 100 კრავ. „კვისისანა". თხოვნების მიღება 1 სექტემბრამდე. (5—ფ.—2)

ექიმი კბილისა ი. ზ. ჩანტურია იღებს ავადმყოფებს საღამოს 4—8 საათ., კვირა-უქმე დღეს დილით 9—1 საათამდე. ავჭალის ქუჩა, № 71 (კიროჩნი ქუჩის ხალო.) (24—310—19)

ახლად გახსნილი ტფილისის

## კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ი. ზ. ფილდორფეგი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ღამბაშიძე—პირველ სექტემბრამდე შვებულება მიიღება.

ზ. ა. პოპოვი—პირველ სექტემბრამდე შვებულება მიიღება.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. წერეთელი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გოგიბერიძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—127)

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვანქის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 481.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 ს.-მდე.

რუდენკო—შინაგანი სნეულ. კვირა 3—4 საათ.

რიდელი—ბავშვისა, შინაგანი. ყოველ დღე $2^{1/2}$—$3^{1/2}$ ს.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ დღე $1^{1/2}$—3 ს.

პავლოვსკი—ქირურგ. ყოველდღე 4—5

...—ქალ. ავად., ორშაბთ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 ს.

ზოლოტოვსკი—შინაგანი, ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

გორბილევიჩი—შინაგან, ყოველ დღე. $11^{1/2}$—$12^{1/2}$ ს.

იაკ. ჩუდნოვსკი.—ნერვებ., სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 ს.

ასპისოვი—ყურ., ყელ., ცხვ. ყოველ დღე. 4—5 საათ.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველ დღე 2—3. საათ.

ხუდაბაშევი—ქალ., ბავშ. ყოველ დღე 1—2 საათ.

ახვლედიანი—ბავშვისა შინაგ. ყოველ დღე 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—6.—75)

დ. ყვირილაში

მთავრობის ნებართვით 1 ენკენისთვიდან იხსნება ვაჟთა კერძო

## პროგიმნაზია

ყვირილის და მის გარშემო მცხოვრებთა საყურადღებოდ სასწავლებლის გამგეობა აცხადებს:

1. მოსწავლეთაგან თხოვნები მიიღება 1 აგვისტოდან დროებით დეკ. დ. ღამბაშიძის სახლში; 2. მოსამზადებელ და შემდეგ კლასებში მისაღები პირობები ისეთივეა, როგორიც მთავრობის ამგვარსავე სასწავლებელში; 3. სწავლის ფული მოსამზადებელ კლასებში 50 მან. წლიურად, ხოლო 1 კლასიდან 60 მან; 4. სასწავლებელში მისაღებად საჭიროა მეტრიკული მოწმობა და ყვავილის აცრის მოწმობა. (8—კვ.—5)

## იყიდება

იაფად საგარაკო ადგილები, თითო ნაჭერი 500 საჟენი და მეტი, სოფელ თელოვანში (ტფილისის მაზრა), ტფილისიდან 13 ვერსის მანძილზე საქართველოს სამხედრო გზა-ტკეცილით. საავარაკო ადგილები მაღლობზეა, 3000 ფუტზე, მდიდარი ტყითა და წყაროებით, მშვენიერი ჰავით, სანახაობით და მდებარეობით. იყიდება პატრონთან მორიგებით და ფულის ნაწილ-ნაწილ გადახდით; ვინც ბევრ ნაჭერს იყიდის, იმას ფასი საკმაოდ დაეკლება.

მიმართვა შეიძლება: ტფილისს, ფრეილინის ქუჩა, № 1, სახლი ბაისაღოლოვისა, რუსეთის 1-ლ ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოების მთავარ კანტორაში ზაქარია გიორგის ძეს მაღალაშვილს. (50—6.—19)


## გამგეობა

ყვირილის სამეურნეო ბანკისა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ, თანახმად ამა 1909 წლის 19 ივლის მომხდირ საზოგადო კრების დადგენილებისა, ბანკის 10% საწევრო თანხა გადიდებულ უნდა იქნას 20%, რომლის გასადიდებლადაც უკანასკნელ ვადად ითვლება ამავე წლის 12 აგვისტო.

გამგეობა ბანკისა, აცხადებს რა ამას, სთხოვს ბ-ნთ წევრთ, ხსენებულს ვადამდე შემოიტანონ გასადიდებელი თანხა. (3—6.—1)

## ტფილისი 8 აგვისტო

მკითხველთ არ დავიწყნია, ალბად, რა ბედი ეწვია კავკასიის ნამესტნიკის პროექტს ქალაქ ყარსში საქალაქო თვითმმართველობის შემოღების შესახებ. მესამე სათათბირომ, მემარჯვენეთა ზედგავლენით, არ დაამტკიცა პროექტი იმიტომ, რომ რუსთა მონაწილეობა თვითმართველობაში უზრუნველყოფილი არ არისო. ქალაქ ყარსში 20 ათასამდე მცხოვრებია, აქედან ორი პროცენტი თუ ცოტა მეტი რუსია და სათათბიროს უმრავლესობამ მოითხოვა, რომ ამ ელემენტისთვის პროპორციონალური წარმომადგენლობა იქმნას დაწესებული ქალაქის საბჭოში. მთავრობამ უკან წაიღო თავისი პროექტი და გამოთქმულ სურვილისამებრ შესცვალა იგი.

მთელი ოპოზიცია, რასაკვირველია, წინააღმდეგი იყო ამ მოთხოვნისა. ზოგი პრინციპიალურად წინააღმდეგი იყო, საზოგადოდ, საეროვნო პროპორციონალურ წარმომადგენლობის დაწესებისა ადგილობრივ სამეურნეო ორგანიზაციაში; ზოგი იმ აზრისა იყო, რომ, თუ საჭიროა ამ პრინციპის შეტანა, იგი სხვა ერებზედაც უნდა იქმნას გავრცელებული და არ უნდა წარმოადგენდეს პრივილეგიას მარტო რუსთათვისაო. ამიერ-კავკასიის წარმომადგენელნიც ერთხმად წინააღმდეგნი იყვნენ მემარჯვენეთა შესწორებისა და ამტკიცებდნენ, რომ არავითარი საბუთი არა აქვთ კავკასიაში მცხოვრებ რუსთ, პრივილეგიური წარმომადგენლობა მოითხოვონ: არავინ მათ სამეურნეო ინტერესებს არ ემუქრება, არავინ მათ არა სჩაგრავს და არ ავიწროებს, არავის ფიქრადაც არ მოსვლია თვითმართველობის კარები ჩაუკეტოს რუსთაო. მემარჯვენენი არა ჰფიქრობდნენ არც პრინციპიალურ, არც პრაქტიკულ საბუთ-მოსაზრებების წამოყენებას; ისინი ჩვეულებრივ ჩიოდნენ და წუწუნებდნენ, „ტუზემცები" ავიწროებენ რუსებსაო და ამ მოტივმა გასჭრა: უმრავლესობამ შეიწყნარა მათი სურვილი...

ამ საპარლამენტო ვოტუმს მუქთად არ ჩაუვლია ადგილობრივ მთავრობისათვის. როგორცა სჩანს, იგი ამიერიდან აღარ დაივიწყებს გაკვეთილს და ეცდება, ყველა მომავალ რეფორმის პროექტში წინ წამოაყენოს რუს უმცირესობის „უფლებათა უზრუნველყოფა". ამას ამტკიცებს, მაგალითად, ნამესტნიკის ცირკულიარი საერობო რეფორმის შესახებ, სადაც ერთ-ერთ მუხლად უკვე შეტანილია ეს გარანტია რუს უმცირესობისა.

მართალია, ცირკულიარი გაკვრით იხსენიებს საზოგადოდ უმცირესობათა უფლებას, მაგრამ აქაც ხაზგასმულია „განსაკუთრებით რუსთა უფლებები" და, ცხადია, ყარსის მაგალითით ადგილობრივ მმართველობას აზრად აქვს ეს პრივილეგია შექმნას ამიერ-კავკასიაში მცხოვრებ რუსთათვის მომავალ საერობო დაწესებულებაშიაც...

ეს საკითხი ჰქონდა განსახილველი ამ ორი დღის წინად საერობო წინასწარ თათბირის მესამე სექციას. თათბირზე მოწვეულნი იყვნენ ამ საკითხში უფრო „დაინტერესებულნი"—ადგილობრივ მემარჯვენეთა წარმომადგენელნი, მათ შორის სახ. სათათბიროს წევრი „ცნობილი ტიმოშკინი", ადგილობრივ „პატრიოტულ" პრესსის წარმომადგენელნი და სხვანი. სექციას, უმთავრესად „ტუზემცებისაგან" შემდგარს, ჰსურდა მოესმინა იმათი საბუთები, იმათი მოსაზრებანი ამ საკითხის შესახებ; განზრახვა ჰქონდა პრინციპიალური კამათი გამოეწვია ამ საქმეზე. მაგრამ, საკითხის ინიციატორნი და ამ საქმეში დაინტერესებულნი სრულებითაც არ გამოცხადდნენ სხდომაზე. პირველის შეხედვით საკვირველია ასეთ გულგრილობა და აბსენტეიზმი, მაგრამ მხოლოდ პირველის შეხედვით. ნამდვილად-კი ადგილობრივ მემარჯვენეთა საქციელი ადვილად გასაგებია და ამასთან დიდად დამახასიათებელი. ისინი თითონვე ჰგრძნობენ ალბათ თავიანთ პოზიციის სისუსტეს, ჰგრძნობენ, რომ სრულებით უაზროა მათი ჩივილი რუსთა შევიწროებაზე „ტუზემცებისგან", ჰგრძნობენ თავიანთ მოთხოვნის უსამართლო დასაბუთებას და არჩევენ—სხვა გზითა და სხვა საშუალებით გაიტანონ ლელო. პირისპირ შეხვედრა „ტუზემცებთან", რომელთაც თვით საკითხი აინტერესებთ, თვით საკითხის ყოველმხრივი განსჯა და განხილვა უნდათ, ხელსაყრელი არ არის იმათთვის, ვისაც დროთა ბრუნვის წყალობით უსაბუთოდაც გაუდის უსამართლო მოთხოვნა. ახლაც, ალბად, იმედი აქვთ ტიმოშკინებს თავიანთი გაიტანონ და რად უნდა გაიცხელონ თავი ადგილობრივ საზოგადოებრივ ელემენტებთან კამათისა და ბრძოლისათვის?!

სხდომაზე იყო რამდენიმე რუსი, არა „ჭეშმარიტთაგანი", რომელთაც აგრეთვე სურდათ, ალბად, „ჭეშმარიტთა" საბუთების მოსმენა და რომელნიც „ტუზემცებივით" მოსტყუვდნენ. შეკრებილთა შორის პრივილეგიის მომხრე არავინ აღმოჩნდა და საკითხი უარჰყვეს: ჩვენგან ნუ იქნება ასეთი მოთხოვნა დაკანონებულიო, დეე, ისევ სათათბიროს უმრავლესობამ დააკანონოსო! არა ჭეშმარიტი რუსნიც ამის თანახმანი იყვნენ: რუსის ხალხი ნიჭიერია და ხელოვნურ აპეკას არ საჭიროებსო: ჩვენთვის შეურაცხყოფაა ასეთ პრივილეგიის შექმნა და მოთხოვნაო...

სექციის ასეთ დადგენილებას, უეჭველია, არავითარი ძალა და მნიშვნელობა არ ექნება. დღევანდელს პოლიტიკურს პირობებში ამ დადგენილებასაც არა-რუსთა შოვინიზმის და სეპარატიზმის დამამტკიცებელ გარემოებად აღიარებენ ისინი, ვისაც დღეს უჭირავს რუსულ პატრიოტიზმის და მამულიშვილობის ბაირაღი. იმათის მეცადინეობით საერობო კანონ-პროექტსაც ისევე დაამახინჯებენ, როგორც ყარსის საქალაქო თვით-მმართველობის პროექტი დაამახინჯეს.

## დეპეშები

(პეტ. რ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 და 6 აგვისტო

### სპარსეთი

**ლონდონი.** რეიტერის საგენტოს თეირანიდან ატყობინებენ: შაჰის სპარსეთიდან წასვლის დღე კიდევ გადაიდო. მიზეზი ის არის, რომ შაჰის მამული ადერბეიჯანში რუსეთის ბანკშია დაგირავებული და ამ საქმეს მოწესრიგება უნდა. რევოლიუციონერებს ეშინიანთ, ამ მამულის კანტროლობა ხელიდან არ გამოაცალონ. ამიტომ მათ შაჰის წინადადება მისცეს, პენსიას მოგიმატებთ, მხოლოდ იმ პირობით კი, რომ ამ მამულს სპარსეთის მთავრობამ გაუწიოს კანტროლი და მანვე გაასწოროს ანგარიშიო. შაჰმა მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. ჰფიქრობენ, რომ შაჰი არ მიიღებს ამ წინადადებას.

თეირანში უკვე დასრულდა ამომრჩევლების არჩევნები. შესდგა დირექტორია. დირექტორიაში 20 კაცი შედის, მათ შორის, სეპეხდარი და სერდარ ასადი. დირექტორიას განსაკუთრებული უფლებები აქვს. მას უფლება აქვს, მინისტრების მოქმედებას კანტროლი გაუწიოს.

**ლონდონი.** „ტაიმს" თეირანიდან ატყობინებენ: რევოლიუციონერებს სურთ შაჰად ნამყოფის პენსიის პირობის ქაღალდში შეიტანონ მუხლი, რომლითაც შაჰს პენსია წაერთმევა, თუ აღმოჩნდა, რომ შაჰი სპარსეთის მთავრობის წინააღმდეგ ინტრიგებს ეწევა. რუსეთისა და ინგლისის ელჩებმა, რომელნიც მონაწილეობას იღებენ შაჰად ნამყოფის და ახალ მთავრობის მოლაპარაკებაში, თავიანთ მთავრობებს ინსტრუქციები სთხოვეს.

**თეირანი.** ტახტის მემკვიდრედ დანიშნავენ ახალ შაჰის ათი წლის ძმას მაჰმედ-ჰასან-მირზას.

**თეირანი.** მთავრობამ განკარგულება მოახდინა, გაანთავისუფლეთ ზილლი-სულთანი და ნება მიეცით სპარსეთი მიატოვოსო.

### ოსმალეთი

**პარიჟი.** ჰავასის საგენტოს კანეიდან ატყობინებენ: კრიტეს მფარველ-სახელმწიფოების კონსულებმა კრიტეს მთავრობას შეატყობინეს, საბერძნეთის დროშა ხვალიდან უნდა ჩამოხსნათო. კონსულებმა კრიტეს მთავრობას შეუთვალეს, თუ საერთა შორისო რაზმს ვინმე დაეცა, ცუდი შედეგი მოჰყვებაო. კრიტეს დროებითმა მთავრობამ მოწოდება გამოსცა. მთავრობა ხალხს ურჩევს, მფარველ-სახელმწიფოების განკარგულებებს დაემორჩილეთო.

**სტამბოლი.** ოსმალეთის გაზეთები ეხებიან პეტერბურგის დეპეშათა საგენტოსაგან მიერ უარყოფილ ხმას, ვითომ რუსეთს საკითხი აღეძრას, რუსის სამხედრო ფლოტს უფლება აქვს დარდანელის სრუტეში გავლისა. გაზეთები ძალიან კმაყოფილნი არიან, რომ ეს ხმა არ გამართლდა. გაზეთები „ტანინი" და „საბახი" სწერენ, ჩვენ წინდაწინვე დარწმუნებულნი ვიყავით, რომ ხმა ტყუილი იყოო.

იმპერატორმა ვილჰელმმა გენერალისიმუსი მაჰმუდ-შევკეთ-ფაშა გერმანიის ჯარის ალლუმებზე მიიწვია. ალლუმები შემოდგომაზე მოხდება.

**კანეია.** მფარველ-სახელმწიფოების კონსულებმა კრიტეს მთავრობას წერილობით მოსთხოვეს, ნავთსადგურის შესავალში გამოკიდული საბერძნეთის დროშა ჩამოხსენითო. ამასთან კონსულები კრიტეს მთავრობას ატყობინებენ, თუ თქვენ არ ჩამოხსნით, საერთა-შორისო რაზმი ჩამოხსნისო. წინააღმდეგობა არავინ გაგვიწიოს, თორემ ცუდი შედეგები მოჰყვებაო. კონსულების ეს წერილი წაიკითხეს დეპუტატთა პალატაში და წერილის შინაარსი მთელ კრიტეს მცხოვრებთ აცნობეს. დილის 5 საათზე მფარველ-სახელმწიფოების გემებიდან ნაპირზე გადმოვიდა მატროსების ერთი როტა და საბერძნეთის დროშა ჩამოხსნა. ციხეში, სადაც დროშა იყო აფრიალებული, საერთა შორისო რაზმის 50 ჯარის-კაცი ჩააყენეს. მატროსები

გემებზე დაბრუნდნენ. კრიტეს ჟანდარმერია წესიერებას იცავს.

**სტამბოლი.** საბერძნეთის პასუხს ხვალ ელიან. მთავრობაზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა იმ ცნობამ ცნობამ, რომ მფარველ სახელმწიფოების გემების მატროსები. კანეაში ნაპირზე გადავიდნენ და ციხიდან საბერძნეთის დროშა ჩამოხსნეს.

**ათინა.** 5 აგვისტოს მინისტრ-პრეზიდენტმა რალიმ ოსმალეთის მთავრობას საბერძნეთის საპასუხო ნოტა ჩააბარა. საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა ამ ნოტის შინაარსი მფარველ - სახელმწიფოებსაც აცნობა.

### გაფიცვა შვეციაში.

**სტოკჰოლმი.** შვეციის მთავრობა უარჰყოფს იმ ხმას, ვითომ გაფიცვას იმდენი ზარალი მოეტანოს, რომ შვეცია იძულებული იყოს ვალი აილოს.

გაფიცვა წინანდებურად მიმდინარეობს. ამ ბოლო დროს ბევრი ტურისტი მოდის, სასტუმროებში ადგილი აღარ არის.

### საზღვარ-გარედ.

**ლონდონი.** რეიტერის სააგენტოს პეკინიდან ატყობინებენ: სანკოუსიჩუანის რკინის გზის საკითხი უკვე გადასწყდა. სახელმწიფო ვალი ოცდა ათ მილიონ დოლარით გადიდდება. ჩინეთმა ვალი ინგლისსა საფრანგეთსა, მერიკასა და გერმანიაში უნდა აილოს. ზემოდ ჩამოთვლილ თვითეულ სახელმწიფოში ჩინეთი ვალის ერთ მეოთხედს აიღებს.

**ბერლინი.** შენებერგში სამგზავრო მატარებლის გავლის დროს ლიანდაგის მახლობლად ჩამოინგრა რკინის კოშკი. დაიმსხვრა რამდენიმე ვაგონი. დაშავდა ბევრი მგზავრი.

### რ უ ს ე თ ი

**პოლტავა.** სოფელ ბობრიკში, გადიაჩესკის მაზრაში, გადაიწვა 35 სახლი. დაიწვა წრევანდელი მოსავალი. ზარალი 40,000 მანეთს უდრის

**ნოვოჩერკასკი.** სოფელ რაზდორსკაიაში დაარსდა ყაზახთა ამხანაგობა. ამხანაგობას აზრადა აქვს ერთად დაიმუშავონ და გაასაღონ ბუნებრივი ღვინო. წრეულს დაიმუშავებენ 5000 ვედრო ღვინოს. დონის ოლქში ყაზახთა ეს პირველი ამხანაგობაა.

**პეტერბურგი.** ქალაქ სტავროპოლსა, ჟიზდრინის მაზრასა, კალუგის და ტობოლის გუბერნიებში გაძლიერებული წესები ერთის წლით კიდევ დასტოვეს. ამასთან ტობოლის გუბერნიის სამი მაზრის იმ ადგილებში, რომელსაც ციმბირის რკინის გზის ლიანდაგის გარშემო ძდებარეობენ, ამავე ვადით სამხედრო წესები დასტოვეს.

**ვარშავა.** ოლქის სასამართლომ გაარჩია შვიდი კაცის საქმე. ამათ ჰბრალდებათ ტვორკოვის საავადმყოფოდან 1907 წელს გატაცება ოსტროვსკაიასი, რომელსაც გენერალ-გუბერნატორ სკალონის მოკვლის განზრახვაში მონაწილეობის მიღებისათვის სიკვდილი ჰქონდა გადაწყვეტილი. სასამართლომ სამს გადაუწყვიტა ათ-ათი წლით კატორგა, ოთხი გაამართლა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ შეიმუშავა და სახელმწიფო სათათბიროში შეიტანს კანონ-პროექტს. ამ კანონ-პროექტით ფინლიანდიაში ძალაში უნდა დარჩეს ის წესები, რომლითაც აკრძალულია ფინლიანდიაში იარაღის შეტანა.

**ვილნო.** „ჭეშმარიტ რუსთა" ძმობების კრებამ დაადგინა, პოლონელ-ლატიშთა მოქმედების საწინააღმდეგოდ გააძლიეროს სამისიონერო მოქმედება, გამოსცეს წიგნაკები და ფურცლები, 300 მანეთიანი პრემია მისცეს იმას, ვინც დასავლეთ რუსეთის საუკეთესო ისტორიას შეადგენს და სხვა. ამასთან კრება იშუამდგომლობს, რუსის ხალხის ინტერესები არ იქმნას დაკიწყებული დასავლეთ რუსეთის ერობაში.

**პეტერბურგი.** ადმინისტრაციის განკარგულებით დაიხურა მეცნიერთა და ლიტერატორთა ურთი-ერთ დამხმარებელი კასსა.

**ოდესსა.** დღეს, 6 აგვისტოს გაიმართა გამომცემლების, გაზეთების რედაქციების და ასოთ-ამწყობების წარმომადგენლების კრება. კრებას უნდა განეხილა კვირა დღეებით შესვენების შესახებ საკითხი. კრებამ დაადგინა, პირველ ოქტომბრისთვის მოიწვიოს სამხრეთ რუსეთის გაზეთების წარმომადგენლების კრება, მანამდის კი ორშაბათობით გაზეთები არ გამოუშვან. კრებამ აირჩია ბიურო რომელიც მომავალ კრებისთვის მასალებს მოამზადებს.

**პეტერბურგი.** ფინლიანდიის მთავრობას გადაეცა „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის" სამხედრო ორგანიზაციის უფროსი იუსკევიჩ-კრასკოვსკი. ეს უკანასკნელი უკვე გაიგზავნა ვიბორგში.

### ხ ო ლ ე რ ა

**პეტერბურგი.** 5—6 აგვისტოს ხოლერით ავად გახდა 56 გარდაიცვალა 20 ავად არის 346 კაცი.

**არხანგელსკი.** ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ტვერი.** ავად გახდა 1 კაცი.

**რიგა.** ავად გახდა 8, გარდაიცვალა 2 კაცი.

**პოლტავა.** გადიაჩესკის მაზრაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 2 კაცი: კრემენჩუგში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

**იაროსლავლი.** ქალაქში და მის მაზრაში ავად გახდა 6, გარდაიცვალა 2 კაცი; რიბინსკში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 1 კაცი.

**კრონშტადტი.** 4 აგვისტოდან აღარავინ გამხდარა ავად, ავად არის 3 კაცი.

# გორის საოსტატო სემინარია

(დასასრული *)

ზემოდ მოვიხსენეთ, რომ ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიასთან 1877 წ. გაიხსნა თათრული განყოფილება მეთქი. 1883 წელს ამ თათრულ განყოფილების შესახებ სემინარიის საბჭომ პეტერბურგიდან მიიღო გამოსარკვევად და თავის დასკვნის წარსადგენად ორი აზრი. ერთი ეკუთვნოდა დიდ მთავარს მიხეილ ნიკოლოოზის ძეს, მაშინდელ სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეს, ხოლო მეორე—ჩვენს კარგ ნაცნობს, ჩვენს ქვეყანაში აღზრდილ-დაბერებულს ბარონ ნიკოლაის, მაშინდელ განათლების მინისტრს. „თათრული განყოფილება უნდა გადაიქცეს ცალკე სასწავლებლად და გადატანილ იქმნას ამიერ-კავკასიის რომელსამე თათრულ ქალაქშიო", ამბობდა უკანასკნელი. „არაო,—ამბობდა პირველი—საზოგადოდ თათრებს ერთი დიდი ნაკლულევანება აქვთო: სარწმუნოებრივი ფანატიზმი. რომ ეს ნაკლულევანება შევასუსტოთ და ბოლოს კიდეც მოვსპოთ, ამისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ თათრის მოზარდი თაობანი მოვაშოროთ მათ დედ-მამის გავლენას და აღვზარდოთ ისეთ ადგილას, სადაც ეს გავლენა ვერ მისწვდება, და ამასთან არც თავიანთ ქვეყნის ჰავა-ბუნებას იქნებიან აგრე რიგად დაშორებულნი. ასეთი ადგილი არის გორი და თათრული განყოფილებაც უნდა სამუდამოდ დარჩეს გორშიო". პედაგოგიურმა კრებამ დაფიქრებით განიხილა ეს ორი აზრი და ერთმხრივ მიემხრო ბარონ ნიკოლაის. მაგრამ ასეთი გადაწყვეტილება ვერ ეჭაშნიკათ ტფილისში. საბჭოს გამოეცხადა საყვედური: როგორ გაჰბედეთ დიდ მთავრის წინააღმდეგ წასვლაო? გადაწყვეტილება უკანვე დაუბრუნეს და უბძანეს ხელმეორედ გადაშინჯვა მისი. მონობას ჩვეულ საბჭოს ენა მუცელში ჩაუვარდა. კარგად იგრძნო, რასაც თხოულობდნენ მისგან და, ამ მოთხოვნილების დაგვარად, დაადგინა ისეთი განაჩენი, როგორიც ეპრიანებოდა ტფილისის მთავრობას: დიდი მთავრის აზრი სრული ჭეშმარიტებააო. მას აქედ თათრული განყოფილება დარჩა გორში. ცხადია რომ ასეთი მდგომარეობა თათრულ განყოფილებისა ვერ დააკმაყოფილებდა თათრებს!... მაგრამ რას იზამდნენ იმ შავ-ბნელ დროში, როდესაც თავის თავზე ზრუნვის გამოცხადებაც კი პოლიტიკურ დანაშაულებად ითვლებოდა. უკმაყოფილება გულში დაიტრიალეს და საანდაზო თევზივით ხმა გაიკმინდეს. ასე მიდიოდა საქმე განმათავისუფლებელ მოძრაობამდე. ამ მოძრაობის ტალღებმა თათრების გულამდეც მიაღწია, იქ შეგუბებული გრძნობანი მძლავრად შეარყია და სიტყვებით ხორც-შესხმული გარედ გამოიწვია. როგორც სხვა ერებმა, ისე თათრებმაც ხმა მაღლა იწყეს თავიანთ საჭიროებაზე ლაპარაკი. ამ ლაპარაკის საგნად, შეიქმნა სხვათა შორის, თათრული განყოფილებაც, მისი ცალკე სასწავლებლად გადაკეთება და ამ სასწავლებლის რომელსამე თათრულ ქალაქში გადატანა. გადატანა, დიახაც კარგია, მაგრამ ამ გადატანას ერთი ისეთი საგულისხმიერო გარემოება უხვდებოდა წინ, რომელსაც თათრები არ შეიძლება არ ჩაეფიქრებინა. ეს გახლავთ სიცოტავე იმ ფულისა, რომელიც თათრების განყოფილებას ეძლეოდა მთავრობისაგან. ორი ათას ხუთასი თუმანი მოსწავლეთა ჩაცმა-დახურვას, სმა და ჭამასაც ძლივსა ჰყოფნიდა და მასწავლებელთა ჯამაგირები სით ჯანაბიდან უნდა ეშოვნათ! ეჭვი არ უნდა, არც სახელმწიფო ხაზინიდან ფულის დამატების იმედი გაუცინებდა თათრებს. მაშ რა უნდა ექმნათ? საიდან უნდა ეშოვნათ ყოველწლივ ერთი ათას ხუთასი თუმანი მაინც? ამ საგანზე ჩაფიქრებულ თათრებს უცებ შემოესმათ ზემოდ აღნიშნული გარდაწყვეტილება განათლების სამინისტროსი გორის საოსტატო სემინარიისათვის სახლის აშენების შესახებ. თათრებმა ისიც კარგად დაინახეს, რომ გორი, ადგილის უქონლობისაგამო, დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. ამავე დროს გორში მცხოვრებელმა თათრებმა ხმა აიმაღლეს. აქამომდე მუდამ ერთმანეთის მოქიშპენი შეერთდნენ, მიიმხრეს ერთი ტერ-ტერაცა და იწყეს ფიცხელ იერიშების მიტანა პედაგოგიურ საბჭოსაგან არჩეულ ადგილისა და ამ ადგილის შესაძენად დაწყებულ კომბინაციის წინააღმდეგ *). ამ იერიშების დაძლევა და გაქარწყლება, რაღა თქმა უნდა, პედაგოგიურ საბჭოს არ გაუჭირდებოდა, მაგრამ მათთან ბრძოლის გამო საქმე იწყო გაჭიანურება, რაც, ვგონებ შეადგენდა ნამდვილ საგანს მოხსენებულ იერიშებისას. ამ გარემოებით ისარგებლეს ტფილისელმა თათრებმა: შეადგინეს დეპუტაცია და მიუგზავნეს ნამესტნიკს. როგორც ხმა გამოვიდა, ნამესტნიკს დეპუტაციამ სთხოვა ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიის გადატანა ტფილისში. იგივე ხმა უმატებს, რომ გრაფ ვარანცოვ-დაშკოვმა აღუთქვა დეპუტაციას თხოვნის დაკმაყოფილებაო.

ყველამ კარგად ვიცით, რასაც ნიშნავს დაპირება იმისთანა დიდ კაცისა, როგორიც არის ნამესტნიკი; მაგრამ გორის საოსტატო სემინარიის გულშემატკივარნი ამ ამბავმა სრულებითაც არ უნდა ჩაჰყაროს სასოწარკვეთილებაში. მართალია, გრ. ვარანცოვ-დაშკოვი დიდი კაცია, მაგრამ არც დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოოზის ძე პატარა კაცი. ამ უკანასკნელის სურვილისამებრ დაარსდა გორში სემინარია და მისვე უნდა მიემართოს ამ ჟამად, როცა გორულებისთვის სახიფათო მდგომარეობაში ვარდება ეს სასწავლებელი. ეს საქმე უნდა შეასრულონ გორის წარმომადგენლებმა. მაგრამ ეს საკმაო არ არის! დიდად საჭიროა, რომ ამ შემთხვევაშიაც ისეთივე თავგამოდება და მხნეობა გამოიჩინოს გორმა, როგორიც გამოიჩინა სემინარიის დაარსების დროსა ამ ჟამადაც საჭიროა დახმარება თავად-აზნაურებისა. მთელი ეს მხნეობა და თავგამოდება უნდა შემოეხვიოს ორ საგანს. პირველად ყოვლის ღონისძიებით უნდა ეცადოს და იშოვნოს გორმა ათასი თუმანი. არ უნდა მოერიდოს ვალის აღებასაც კი, რადგან ეს ვალი კარგ საქმეს მოხმარდება. თუ ათასი თუმნის შოვნა გაჭირდა, მაშინ ძალაუნებურად თავი უნდა დაანებოს გურგენოვის მამულს და მოიძებნოს ისეთი ადგილი, რომელიც ათას თუმანზე ნაკლებ ფასად გაიყიდებოდეს. ვგონებ, რომ პატივცემული მემკვიდრე ათუკა ტერ-სტეფანოვისა და ბ. გ. მელიქ[illegible] [illegible] გრძნობენ გორისა, როგორც თავიანთ სამ[illegible] ქალაქს, რომ ხუთას ექვსას თუმნად დაუთმობენ ამ უკანასკნელს თავიანთ მიწებს. ესევე უნდა ითქვას პატივცემულ თუმანიშვილებზე. შეიძლება გურგენოვმაც იწამოს ღმერთი და სამი ათას თუმანს დაუკლოს ხუთასი. მაშინ ორი ათას თუმანში სემინარიის ბაღს აიღებს, ხოლო ხუთას თუმნის გადახდას, როგორც იქნება, მოახერხებს გორი. მეორედ, ქალაქისა და თავად-აზნაურთა წარმომადგენელთაგან უნდა არჩეულ იქმნას დეპუტაცია. იგი უნდა წარუდგეს ნამესტნიკს, დაწვრილებით აუხსნას გორის საოსტატო სემინარიის წარსული და აწმყო მდგომარეობა და სთხოვოს მისი დატოვება საკვლავიოდაც გორში.

დარწმუნებული ვარ, ეს საშუალებანი რომ დროზე ვიხმაროთ, გორის საოსტატო სემინარია ისევ თავის აწინდელ ადგილს დარჩება. სხვა რომ არა იყოს რა, სირცხვილია, ჩვენი ზნეობრივი დამცირება იქნება, რომ ხსენებული სასწავლებელი, ოცდა ცამეტის წლის შემდეგ, სხვამ ვინმემ წაგვართვას, სხვაგან სადმე გადაიტანონ!!

**გორელი.**

*) იხ. „დროება", N 174.

*) აი ის ჯგუფი, რომელიც ერთმა კორესპონდენტმა „პედაგოგიურ საბჭოს საუკეთესო ნაწილის" სახელით მონათლა. საკადრისი არ არის საგულისხმიერო საგანზე ქარაფშუტული ლაპარაკი.

# თათბირი ერობის შესახებ

5 აგვისტოს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა მესამე საერობო სექციის სხდომა. დაესწრო 15-მდე წევრი. განსახილველი იყო ნამესტნიკის ცირკულიარის მე-8 მუხლში აღნიშნული საკითხი—საერობო დაწესებულებებში უმცირესობის, ესე იგი ამ შემთხვევაში ჩვენში მოსახლე რუსების უფლებების დაცვის შესახებ. ამ სხდომაზე მოწვეულნი იყვნენ ჩვენებური „ჭეშმარიტი რუსები", მაგრამ არც ერთი მათგანი არ გამოცხადდა. არ გამოცხადდა არც დეპუტატი ტიმოშკინი, არც წარმომადგენელნი „გოლოს კავკაზა"-სი და „რუსკი ს კავკაზა"-სი და არც სხვანი. პირველად თავმჯდომარემ თავ. ჩოლოყაშვილმა სექციას გადასცა ცნობები ტფ. გუბერნიის მცხოვრებთა შესახებ. ცნობები ამოიკითხა კავკასიის კალენდრიდან. ამ კალენდარში-კი ყველაფერი არეულია. მაგ. ქართველთა საერთო რიცხვში არ არიან შეტანილნი ფშავნი, ხევსურნი, თუშნი, მეგრელები, იმერლები, ქართველი კათოლიკენი და სხვანი. იმერლები, მეგ-

# ეროვნება, ენა და ესთეტიური კულტურა

6.*)

თუ თანამედროვე მატერიალური კულტურა და სოციალ-პოლიტიკური წეს-წყობილება, როგორც ზევით დავინახეთ, მართლაც საერთაშორისო შემოქმედების ნაყოფს შეადგენს, თუ მასში საკაცობრიო, სხვა და სხვა ეროვნების გამაერთიანებელი ტენდენციები უფრო აშკარად იხატება, ვიდრე გამაცალკევებელი, ცხადია, რომ სპეციფიურად ეროვნული უნდა ვეძიოთ სხვაგან, სახელდობრ სულიერ კულტურის სფეროში. აქ ვპოვებთ უწინარეს ყოვლისა იმას, რაც ყველაზე ნათლად ჰხატავს ეროვნების განუმეორებლობას და დამოუკიდებლობას, რაც შეურყევლად მოწმობს მის სხვასთან შეუდარებელს ნიჭს და ჰენიოსობას. ეს ეროვნული სული და ჰენიოსობა ისე რეალურად, ისე ხელ-შესახებლად არსად გამოსჭვივის, როგორც ენაში და იმ ფსიხიურ შემოქმედების სფეროში, რომელსაც ჰქმნის ადამიანი ენის შემწეობით: ზნე-ჩვეულებაში, ესთეტიურს და ეთიურს კულტურაში, საზოგადო და ფილოსოფიურს მსოფლიო მხედველობაში, მითოლოგიურს და რელიგიურს რწმენაში.*)

*) იხ. „დროება" N 174.

*) რასაკვირველია, შეიძლება ეროვნება მოკლებული იყოს სულიერ კულტურის ერთს რომელსამე მხარეს ან ნაკლებად განვითარებული ჰქონდეს იგი, მაგრამ მაინც ეროვნებად დარჩეს. ჩვენ აქ საგანს ვსაზღვრავთ და მხოლოდ ენას და ესთეტიურს კულტურას ვეხებით; ეს, რასაკვირველია, იმას არა ნიშნავს, რომ სხვა სფეროები უმნიშვნელო იყვნენ ეროვნებისათვის, თუმცა ამ მხრით ვერც ერთი ვერ შეედრება ენის მნიშვნელობას.

გაკვრით უკვე მოვიხსენიეთ ძველი, აწ მეცნიერების მიერ უკვე უარყოფილი, თეორიები ენის წარმოშობისა. თეოლოგიურ აზროვნებისთვის ენა სასწაულებრივი მოვლენაა, განგების მიერ ადამიანთა დასასჯელად ან დასაჯილდოვებლად მოგზავნილი; რაციონალიზმისთვის კი, პირიქით, იგი ბუნებრივი, ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული, მზა იარაღია პიროვნების მიერ თავის აზრების და შინაგან გამოცდილების გამოსახატავად მოგონილი. არსებითად, თუმც გარეგნულად შეცვლილ ფორმით, ეს უკანასკნელი ინდივიდუალისტური თეორია ჯერ კიდევ სცოცხლობს ეგრედ წოდებულ „გამოგონების" და „წაბაძულების" თეორიის სახელით. თუ ენა დამოუკიდებელ პიროვნებათა მიერ მოგონილი იარაღია, ბუნებრივად იბადება საკითხი, როგორ მოხდა, რომ შემდეგ ეს ინდივიდუალური იარაღი სოციალურად გარდაიქცა, თავის წარმოშობის სხვა და სხვაობა ერთი მეორეს შეუფარდა და ჩაჩრდილა და მთელ სოციალურ ერთეულის გაერთიანებულ გამოხატულებად გარდაიქცა? ყოვლის შემძლე წაბაძულების შემწეობითაო, უპასუხებს ეს თეორია. ეს წაბაძულება რაღაც უცნაური მისტიური გამათანასწორებელი ძალაა, რომელიც ჯადოსნურის შესაძლებლობით ინდივიდუალურისაგან ჰქმნის სოციალურს. კიდევ მეტი: „საზოგადოება—წაბაძულებაა, წაბაძულება კი ერთგვარი სომნამბულიზმიაო", ამბობს ამ მიმართულების ცნობილი თეორეთიკოსი, ფრანგი სოციოლოგი გაბრიელ ტარდი თავის თხზულებაში „კანონები წაბაძულებისა". ნიჭიერი და არა ჩვეულებრივი პიროვნება, ერთად-ერთი წყარო ყოველგვარ შემოქმედებისა, სრულიად დამოუკიდებლად იგონებს ახალს, უცნობს, ჰენიოსურს; წაბაძულების წყალობით ეს ახალი ჯერ იმ ვიწრო წრეში ვრცელდება, რომელიც გამომგონებელს გარს არტყია, შემდეგ კი შეუჩერებელის ძლიერის ზვავივით უფრო ფართო და ფართო წრეებს ედება, სანამ ბოლოს არ დაჰკარგავს თავის ძალას და ერთს საზღვარზე არ შეჩერდება: ესაა საზღვარი გარკვეულ სოციალურ ერთეულისა. ჰენიოსი—ჰიპნოტიზიორია, სოციალური სხეული კი—პასიური მედიუმი, რომელიც მას აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს. ამით აიხსნება, რომ ენა, რომელიც თავდაპირველად ინდივიდუალური იარაღია, ჩქარა მთელის განსაზღვრულ საზოგადოებისთვის განგებ, სულიერ შინაგნობის გამომხატველ საშუალებად ხდება. ნიჭიერი პიროვნება ჰქმნის ენას ან წინასწარ-მოსაზრებით, შეგნებულად (ინტელექტუალისტური შეხედულება), ან სრულიად უნებლიეთ, რეფლექტიურად, შეუგნებლად (ფიზიოლოგიური თეორია): ფსიხიურ აღელვების დროს, ძლიერის გრძნობით, ვნებით ან გულის-თქმით გამსჭვალული იგი სცდილობს მოძრაობით, ყვირილით და ხმის მოცემით გამოსავალი მისცეს დაგუბებულს ფსიხიურს ენერგიას; ეს ხმა თავის მხრით პოულობს გამოხმაურებას ახლო-მახლო წრეებში: თვითეული პიროვნება სცდილობს მდგომარეობა და ხმა ასსოციაციურად ერთი მეორეს დაუკავშიროს და შემდეგ ანალოგიურს მდგომარეობაში თვითონაც მსგავსი ხმა გამოსცეს. ამგვარად იბადება ენა—ნაყოფი წაბაძულებისა.

ამ თეორიის დასახასიათებლად საკმაოა გავიხსენოთ როგორა ხსნის იგი ეგრედ წოდებულ „ხმის ცვლილებათა" ფაქტს. მაგალითად, ცნობილია, რომ ლათინურს სიტყვას „ცეზარს" სხვა და სხვა ეროვნება სხვა და სხვანაირად სცვლის: გერმანელი ამბობს „კაიზერს", რუსი „ცარ"-ს, ქართველი „კეისარ"-ს ან „ყაისარ"-ს. ამ თეორიის მიხედვით, ეს იმით აიხსნება, რომ ერთს რომელსამე უსახელო პიროვნებას ლათინური სიტყვა შეცდომით წარმოუთქვას: მისთვის წაუბაძავთ სხვებს და ამგვარად ბოლოს გადამახინჯებული გამოთქმა საერთო ეროვნულ კუთვნილებად გამხდარა. აქედან ნათლადა სჩანს ამ ხელოვნურ სოციოლოგიურ კონსტრუქციის სისუსტე და ნაკლულოვანება: წაბაძულების თეორიას, ჩვენის აზრით, სრულიად არ შეუძლიან ეროვნულ ენათა სხვა და სხვაობის ახსნა. როგორ მოხდა, რომ პიროვნებათა იმ ჯგუფმა, რომელიც შავს ზღვასა და კასპიის ზღვას შუა სცხოვრობს, რომელსაც შემდეგ ქართველი ერი ეწოდა, გამოუკლებლივ სწორედ „კეისარის" გამომთქმელს მიჰბაძა? რა ჯადოსნობამ მისცა სწორედ „კაიზერს" ასეთ აბსოლიუტურ ბატონობის ძალა ნემანისა და ჩრდილოეთ ზღვის შუა ან „ცარს" აღმოსავლეთ ევროპაში? რატომ ყველამ ლათინურს „ცეზარს" არ მიჰბაძა? ამ სიტყვას ხომ მთელი ეროვნება ხმარობდა, სანამ იგი გერმანულს, რუსულს და ქართულს ენაში შევიდოდა? განა მთელი ერის „ჰიპნოტიზიური გავლენა" უფრო ძლიერი არ უნდა იყოს, ვიდრე ცალკე თუნდ უჰენიოსესი პიროვნებისა?

ცხადია, რომ წაბაძულება თავისთავად გასაგები მოვლენა არ არის, ცხადია, რომ იგი მეორე ხარისხოვანი სოციალური ფაქტორია: თუ ქართველი ერი ერთნაირად სცვლის უცხო სიტყვათა გამოთქმას, ამას სჩადის არა წაბაძულების შემწეობით, არამედ თანახმად თავის ეროვნულ ფსიხიურ ბუნებისა; თუ მისი გამოთქმა განსხვავდება გერმანულ ან რუსულ გამოთქმისაგან, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მისი სულიერი ბუნება, რომელიც საძირკვლად უძევს ენის შემოქმედებას, განსხვავდება გერმანულ ერის სულიერ ბუნებისაგან. თვით წაბაძულება ეროვნულ წრის ფარგალში აიხსნება მხოლოდ იმ მჭიდრო სულიერ ნათესაობით, რომელიც მის წევრთა შორის არსებობს; ენის და გამოთქმის სხვა-და სხვაობა კი და მასთან ერთად შეუძლებლობა საერთაშორისო წაბაძულებისა გამომდინარეობს ეროვნულ ფსიხიკათა სხვა-და-სხვაობისაგან, რომელსაც ვერავითარი „სომნამბულისტური ძალა" ვერ ჩაჩრდილავს. აქ ადგილი არა აქვს „შემთხვევას", „შეცდომას", „თავისუფალს მოგონებას": პიროვნება სიტყვას სცვლის არა ზეშთაგონებით, არა „ვინცობით" ან ხელოვნურის კომბინაციის წყალობით, არამედ გარდაუვალ აუცილებლობით, იმ სოციალ-ფსიხიურ ერთეულის მიხედვით, რომელსაც ის ეკუთვნის. იგი განმარტოვებული არა სდგას ამ შემოქმედებაში: მასთან ერთად ათასი და ათი-ათასი სხვა მასავით უსახელო ეწევა იმავე შრომას იმავე მიმართულებისკენ და თუ შედეგი ამ შრომისა შეთანხმებული გამოდის, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ არსებითად ჰქმნიდა არა პიროვნება, არამედ დიადი ეროვნული სული პიროვნების შემწეობით. წინააღმდეგ ტარდისა, ჩვენ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ სოციალობა, საზოგადოდ, ეროვნება, კერძოდ, არის არა წაბაძულება, არა მედიუმი, რომელზედაც პიროვნება თავის უცნაურს ექსპერიმენტებს ახდენს, არამედ ფსიხიური აქტივობა, განუზომლობა შემომქმედ ჰგენიოსობისა, რომელიც ინდივიდუალობისაგან მხოლოდ იმას ითვისებს, რაც მის დედა-არსს არ ეწინააღმდეგება.

აქ უადგილო არ იქნება, გავიხსენოთ ის პრინციპი ფსიხიურ რეზულტატებისა, რომელზედაც ზევით გვქონდა ლაპარაკი. რა არის პიროვნება თავის ნიჭით, აზროვნებით და მეტყველებით ეროვნების გარეშე? რა არის თვით უუმდიდრესი ენა რობინზონისთვის, რომელიც მოწყვეტილია თავის ეროვნებას?—ასოებად დაწყობილ ხმათა სისტემა, მოკიბული ყოვლის რეალურს აზრს და შინაარსს, ან ამაო მოწოდება და ძახილი ძლიერ გრძნობით აღელვებულ სულისა, ან აზრით და გულის ნადებით აღსავსე წინადადება, რომელიც ვერავითარ გამოხმაურებას ვერ იპოვის და დარჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. პირიქით, რა განუზომელს, ყოველ მხრით შეუდარებელს კულტურულს ძალას წარმოადგენს ენა, იგივე არ-

რელები, ფშაველები, თუშები და სხვანი ისე არიან კალენდარში ჩამოთვლილნი, თითქო ისინი ქართველები კი არა, სხვა ტომის ხალხნი იყვნენ. როგორც თავმჯდომარის ცნობებიდანა სჩანს, მთელს გუბერნიაში სცხოვრობს 970,500 სული (1897 წლის აღწერით). აქედან მაჰმადიანი 91,800 სულია. ამათში უნდა შედიოდნენ ახალ-ციხისა და ახალ-ქალაქის ქართველი მაჰმადიანნი, რომელთა რიცხვი 50,000 სულს აღემატება; რუსი—26,600 სული, სომეხი—218,800 სული, ბერძენი—38,800 სული, თურქი—600 და სხვანი- დანარჩენნი ქართველები არიან. თავმჯდომარემ სექციას თითოეულ მაზრის შესახებაც მიაწოდა ცნობები.

ამ ცნობების მოსმენის შემდეგ მ-ნმა ქაბულოვმა განაცხადა: ზაქათალის ოლქი ტფილისის საერობოში შედის და ამიტომ სტატისტიკური ცნობები ამ ოლქის მცხოვრებთა აღნიშვნითაც უნდა შეივსოს. ამასთან მე, როგორც მაჰმადიანთა წარმომადგენელი, ვაცხადებ, რომ მაჰმადიანები სარწმუნოების მიხედვით უნდა ჩასთვალოთ და არა ეროვნებითაო.

შემდეგ სექცია შეუდგა საკითხის განხილვას.

**მ. ა. გედევანიშვილმა** სთქვა: თავდაპირველად საჭიროა გადაწყდეს პრინციპიალური საკითხი: სასურველია თუ არა საერობო არჩევნები ცალკე ეროვნებათა კურიებად იქმნეს დაყოფილიო.

**გ. თუმანოვი**: ერობა პოლიტიკური დაწესებულება არ არის, სადაც საჭირო იყოს უმცირესობათა წარმომადგენლების გაგზავნა. ერობა სამეურნეო ორგანიზაციაა, იგი იზრუნებს მხოლოდ მცხოვრებთა საერთო ბედნიერებაზე და რა საჭიროა ეროვნებებად დანაწილება? მე-20 წელიწადია ხმოსანი ვარ ტფილისის ქალაქის საბჭოში და რუსთაგან ერთი საყვედურიც არ მახსოვს არჩევნების დროს. ტფ. ქალაქის საბჭოში რუსებს ყოველთვისა ჰყავთ წარმომადგენელი. იქნებ ცოტანი არიან, მაგრამ ეს იმათი ბრალია, რადგან არ ეინტერესებათ თვით-მართველობის საქმენი. თუ რამ უსიამოვნება მომხდარა ქალაქის საარჩევნო ნიადაგზე, ეს ქართველებსა და სომხებს შორის ტფილისში და თათრებსა და სომხებს შორის ბაქოში. მაგ., ქართველები ყოველთვის ნაკლებნი იყვნენ ტფ. საბჭოში, მაგრამ ამ გარემოებას არაოდეს განხეთქილება და საყვედურები არ გამოუწვევია.

**ექ. ველიჩკო-ვი.** დაეთანხმა თავ. თუმანოვს და დაიმოწმა, რომ რუსებს კალთებზე ვეჭიდებოდით ხმოსნად დათანხმებულიყვნენ, მაგრამ არავინ თანხმდებოდაო. გარდა ამისა, მე, როგორც რუსი შეურაცხყოფილად ჩავთვლი თავს, თუ რაიმე ისეთი კანონი შექმნით, რომელიც განსაკუთრებულს მფარველობას გაუწევს რუსებს. ასეთი კანონი იმას მოასწავებს, თითქოს ჩვენ, რუსები, უნიჭონი და საქმიანობის უნარს მოკლებულნი ვიყვნეთ. ჩვენ აპეკას არა ვსაჭიროებთ.

**ა. ი. ხატისოვი.** პრინციპი პოლიტიკურ და პარტიულ გამოსვლისა საერობო დაწესებულებაში, როგორც სამეურნეო ორგანიზაციაში, მეტად მიმაჩნია, ერობაში არავითარ ეროვნულ საკითხს ადგილი არ ექნება. უნდა უარყოფილ იქმნას საკითხი უმცირესობის უფლების დაცვის შესახებ.

**ქობულოვი** იცავდა პროპორციონალურ პრინციპს.

**ეირანოვიც** იცავდა ამ პრინციპს. საჭიროა წინდაწინვე აიწონ-დაიწონოს საქმე, რომ კანონმა მფარველობა გაუწიოს უმცირესობას, თორემ როცა საქმე გამწვავდება უმრავლესობათა და უმცირესობის შორის მერე გვიანღა იქნება სინანულიო. მახსოვს 1892 წელს ტფილისის ქალაქის საბჭოში სომხებმა ქართველები არ აირჩიეს. ერთი-ორი იყო ამორჩეული და მათაც უარი განაცხადეს ხმოსნობაზე. ამ გარემოებამ საგრძნობლად გაამწვავა საქმე ქართველებსა და სომხებს შორის. ასეთი მოვლენა მომავალშიაც შესაძლებელია და ეხლავე თავიდან უნდა ავიცილოთ. უნდა შევიტანოთ პროპორციონალური სისტემა საერობო დებულებაშიო.

ქობულოვისა და ეირანოვის სიტყვებმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. თითქმის ყველა წინააღმდეგნი იყო ამ ორატორების აზრისა. სექციამ, დასასრულ, უარ-ჰყო საკითხი უმცირესობის უფლების დასაცავად რაიმე კანონის შექმნის შესახებ. მოხსენების შესადგენად და ამ რეზოლიუციის დასასაბუთებლად არჩეული იქნება განსაკუთრებული კომისია.

6 აგვისტოს მოხდა პირველი სექციის სხდომა თავ. გ. მ. თუმანოვის თავმჯდომარეობით. ლაპარაკი იყო ქალაქებს გამოყოფის შესახებ. თავმჯდომარემ სთქვა, ეს საკითხი რუსეთში კარგა ხანია წამოაყენეს ქალაქებმა, შეიმუშავეს კიდეც პროექტი ქალაქების გამოყოფის შესახებ და საქმე მალე სახელმწიფო სათათბიროს წარედგინება განსახილველადაო. სთქვეს ის ქალაქები, რომელნიც შეიცავენ 75,000 მცხოვრებზე, არა ნაკლებ, გამოყოფილ იქმნენ სამაზრო ერობად, ხოლო 300,000 მცხოვრებზე არა ნაკლებ—საგუბერნიო ერობად.

თავ. აბხაზის წინადადებით, სექცია გაკვრით შეეხო წყალთა სამმართველოს მოღვაწეობას. სთქვეს, ბევრი ნაკლულევანება აქვს ამ სამმართველოს მოქმედებას და რადგან სარწყავ წყლების საქმის მოწესრიგებას დიდი მნიშვნელობა აქვს მეურნეობისთვის, საჭიროა ზოგიერთი ფუნქცია. წყალთა სამმართველოსი გადაეცეს ერობასაო. სამმართველოს ისეთის საქმეები უნდა შერჩეს, რომელსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვსო. სექციამ მოხსენების შედგენა ამ საკითხის შესახებ დაავალა ბ-ნ აბელიანს.

**ა. ი. ხატისოვმა**, რომელსაც შეუსწავლია საკითხი ქალაქების გამოყოფის შესახებ, ერთ საათს ილაპარაკა. მან მოიყვანა ისტორია საკითხისა. მერე სთქვა, ქალაქის საზოგადოერობაში დატოვება დიდად საზარალო იქნება ქალაქისათვის, რადგან მეტი ნაწილი შემოსავლისა სოფლებზე დაიხარჯებაო. ბევრის აზრით ქალაქები იმიტომ მოჰყვნენ ერობებში, რომ საერობო დებულება 1864 წელს გამოიცა, ხოლო საქალაქო—ათი წლის შემდეგაო. მეოთხმოცდაათე წლებში როდესაც კვლავ აღიძრა საკითხი ქალაქის გამოყოფის შესახებ, ქალაქებს დაევალათ მოხსენებების წარდგენა და საკითხის შემუშავება. 1900 წელს მრავალმა ქალაქმა აღძრა შუამდგომლობა გამოყოფის შესახებ. მოტივი ორნაირი იყო—ფინანსიური და უფლებრივი. დაამტკიცეს, რომ ერობათა უმრავლესობა უმთავრესად ქალაქების ხარჯით სცოცხლობს. ხარკოვის ერობა, მაგალითად, ხარკოვისაგან იღებს 70 ათას მან. ეხლა ამ ფულიდან 25 ათასი მან. ქალაქ ხარკოვზე ხარჯავს და 67.500 მან. სოფელზე; სარატოვი იძლევა 70,000 მან. ერობა აქედან სარატოვზე ხარჯავს მარტო 4000 მანეთს: ქალაქების გამოყოფობის მომხრენი პროგრესისტები არიან, მოწინააღმდეგანი—რეაქციონერები, როგორც პურიშკევიჩი და სხვები. ქალაქის გამოყოფის მოწინააღმდეგენი ამბობენ: რუსეთი მიწათმოქმედი ქვეყანაა და ხელი უნდა შეუწყოთ ქალაქებიდან სოფელში ხალხის დაბრუნებას, სოფელი უნდა გავაღონიეროთ და სხვა. გარდა ამისა, სოფელი ქალაქის მარჩენალია და სოფელმაც უნდა მიიღოს ფული ქალაქისაგანაო. ხატისოვმა კიდევ დიდ ხანს ილაპარაკა. მან პატარა ქალაქების, მაგ., თელავსა, სიღნაღსა, ახალციხესა და გორისა და სხვების გამოყოფობა მაინც და მაინც საჭიროდ არა სცნო, მაგრამ ტფილისა კი უსათუოდ უნდა გამოეყოს. ხატისოვის აზრით, ტფილისი სამაზრო ერობის ერთეულად უნდა გამოიყოს.

**მ. გედევანიშვილი.** საკითხი ქალაქების გამოყოფის შესახებ დიდი პრინციპიალური საკითხია და იმის გადაწყვეტაში სიფრთხილე და წინდახედულებაა საჭირო. მეც გავიცანი ის მასალა, რომელიც აქ ჩვენ წინ ა. ი. ხატისოვმა გადაშალა და დავრწმუნდი, რომ სამინისტროს კომისია დაემყარა მხოლოდ ქალაქების მიერ შეკრებილ მასალას, ხოლო რაღა თქმა უნდა, ქალაქები ცალმხრივობას გამოიჩენდნენ. ჩვენთვის რუსეთის მუნიციპალიტეტთა მოღვაწეების მიერ შეკრებილ მასალას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არ აქვს. ბ-ნმა ხატისოვმა ხაზი გაუსვა რამდენჯერმე, რომ ქალაქების გამოყოფის მომხრენი პროგრესისტები არიან, ხოლო მოწინააღმდეგენი რეაქციონერებიო. რეაქციონერობას არა ნიშნავს დაცვა ქალაქისა და სოფლის ერთობისა. ქალაქები ძლიერ ეგოისტები არიან. მათ უნდათ თავიანთი საქმე მოაწყონ, ხოლო უპატრონოდ მიტოვებული და გაძვალტყავებული სოფელი განზე დასტოვონ. მერე, განა პროგრესისტობაა, შენ გვერდით მშიერი იყოს და შენ-კი ფუფუნებაში სცხოვრობდე?! არა მგონია. პირიქით, ეს გულქვაობაა. ამ საკითხში ერთობის დამცველნი, უფრო პროგრესისტები არიან, რადგან მათი სურვილია დაუძლურებულ სოფლის დახმარება და გაღონიერება. ქალაქი ცოტა მეტს ხარჯს გაიღებს, რა უყოთ მერე. მან, როგორც უფრო შეძლებულმა და მრავალ უპირატესობის მქონემ, მეტიც უნდა გაიღოს. სამაგიეროდ სოფელი დიდს დახმარებას უწევს ქალაქს. სოფელი უგზავნის საკვებს, ჯანმრთელ მუშა ხალხს და სხვას. მარტო ქალაქების ბედნიერებაზე არ უნდა ვიზრუნოთ. უნდა ვიზრუნოთ საერთო კეთილ-დღეობაზე.

დასასრულ, სექციამ საჭიროდ სცნო ტფილისი შეტანილ იქმნეს საგუბერნიო ერობაში, როგორც სარაიონო საერობო ერთეული.

# სევერიან ჯუღელი

(ნეკროლოგი)

6 აგვისტოს სრულიად მოულოდნელად მეტეხის ციხეში გარდაიცვალა მეორე სათათბიროს დეპუტატად ნამყოფი სევერიან ჯუღელი. ეს ამბავი მეხივით დაეცა მის ნათესავ-მეგობრებს. თუმცა განსვენებული სუსტი და ავადმყოფი კაცი იყო, მაგრამ არავინ არ მოელოდა მის ასე უდროვოდ დაკარგვას. ამ ერთი კვირის წინად უქეიფოდ გახდა, გავიდა სამი დღე და ახალგაზრდა კაცი სამუდამოდ გამოესალმა წუთი-სოფელს, მახლობელთ, ამხანაგთ და განშორდა საყვარელ საქმეს.

სევერიან ჯუღელი დაიბადა 1874 წელს სოფელ ჩხარში. პირველ-დაწყებითი სწავლა მიიღო ჩხარის სასოფლო სკოლაში. იქიდან შევიდა ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, სადაც 1891 წელს პირველ მოსწავლედ დაასრულა სწავლა და ტფ. სასულიერო სემინარიაში გადმოვიდა. სემინარიიდან იგი სხვებთან ერთად დაითხოვეს 1893 წელს, არეულობის დროს.

ამ დღიდან იგი მხნედ მუშაობდა ს.-დემოკრატიულ პარტიაში. 1902 წელს დააპატიმრეს. ექვსი თვის ციხეში ჯდომის შემდეგ იგი სოფელში გაჰგზავნეს. 1903 წელს კვლავ დააპატიმრეს და სამი წლით ციმბირში გადაასახლეს, მაგრამ 1905 წელს, 17 ოქტომბრის მანიფესტის ძალით, გაანთავისუფლეს. დაბრუნების შემდეგაც კვლავინდებურად შეუდგა იგი მუშაობას, მაგრამ ხელ-ახლა დააპატიმრეს.

1907 წელს სევერიან ჯუღელი არჩეულ იქმნა სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ტფილისის გუბერნიიდან. როდესაც მეორე სათათბირო დაითხოვეს და სოც.-დემოკრატიული ფრაქცია დააპატიმრეს, ჯუღელი ასცდა დაპატიმრებას და მას შემდეგ არა ლეგალურად სცხოვრობდა ტფილისში. ამ ხნის განმავლობაში გაზეთებში თანამშრომლობდა. წელს მაისში სხვის პასპორტით იგი დაიჭირეს „ჩვენი აზრის“ რედაქციაში. გაიგეს მისი ნამდვილი გვარი და ვინაობა და ჩასვეს მეტეხის ციხეში.

განსვენებული თავათვე სუსტი იყო, ხშირად ავათმყოფობდა და ამდენმა ტანჯვა-ვაებამ ხომ ბოლო მოუღო.

ლიტერატურულ ასპარეზზე მუშაობა განსვენებულმა ძალიან ადრე დაიწყო- ჯერ ისევ სემინარიაში მხურვალე მონაწილეობას იღებდა არა ლეგალურს ჟურნალში. სასწავლებლიდან გამოსვლის შემდეგ თანამშრომლობდა „ივერიაში“, შემდეგ „ცნობის ფურცელში“, „კვალ ში“, „სხივში“, „ლამპარში“ „განთიადში“, „ჩვენ აზრში“ და სხვაგან. სწერდა ბევრს სხვა და სხვა ფსევდონიმით.

დარჩა ახალგაზდა ცოლი და ოთხი მცირე-წლოვანი შვილი.

განსვენებული ს.-დემოკრატიულ პარტიის ერთი თვალ-საჩინო მუშაკთაგანი იყო, საუკეთესო თანამშრომელი გაზეთებისა, გულ-წრფელი და პატიოსანი ადამიანი, და მისი ხსოვნა დაუვიწყარი იქნება იმის გულში, ვინც პირადად იცნობდა ან მისი მოკლე, მაგრამ ნაყოფიერი ცხოვრება იცოდა.

„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: [illegible] — დრამა [illegible] მეტრეველისა, სურათები: [illegible] ქიფიანიძე [illegible] (1888 წელს გადაღებული); რევოლიუციის მსხვერპლნი ესპანიაში; რევოლიუციონერები ბარცელონაში ქუჩაზე ჯართან ბრძოლის შემდეგ; სპარსელი რევოლიუციონერები; აბაშეთის მეფე მენელიკ II.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კავკასიის რევიზია.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში ხმა გავრცელებულა კავკასიის რევიზიას სექტემბერში მოახდენენ და რევიზორად სენატორ კუზმინსკის ნიშნავენო.

✦ **განაჩენი.** კავკ. სამხედრო-სასამართლომ დაამთავრა ს.-დემოკრატიულ პარტიის ტფ. მეშვიდე რაიონის წევრთა საქმის განხილვა. სასამართლომ ყველას ოთხი წლით კატორგა გადაუწყვიტა; ამასთან დაადგინა, იშუამდგომლოს—სასჯელი შეუმსუბუქდეთ ოლგა ნათაძეს, ნადეჟდა და მიხეილ კაკაბაძეებს, სპირიდონ ვაშაკიძეს, გერასიმე შალამბერიას და ევგენი არჩვაძეს. სპირიდონ ამაღლობელი, როგორც ვწერდით, სასამართლოდან გაიქცა. ხოლო ნინო თოფურიძე არ გამოცხებულა.

✦ **ფოსტაზე თავდასხმა.** 4 აგვისტოს კავკავის გზაზე, საღამოს 10 საათზე, სუვოროვისა და ნაგუთის სადგურებს შუა, 25 ხუთი კაცი თავს დასცემია მატარებელს, რომლითაც მეარტელე მიდიოდა. მატარებელი გაუჩერებიათ, მაგრამ საფოსტო ვაგონში ვერ შესულან. სამაგიეროდ მეარტელესთვის წაურთმევიათ 30,000 მანეთზე მეტი. (ტ. ლ.)

✦ **კერძო საკომერციო სასწავლებელი.** როგორცა ვწერდით, ტფილისში არსდება კერძო საკომერციო სასწავლებელი. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს. დროებით დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად აურჩევიათ ივ. ზ. ტერ-ზახაროვი. სწავლის ფასი 80 მანეთია.

✦ **წარმოდგენა.** დღეს ვერის სახალხო აუდიტორიაში სახალხო სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენილი იქნება გუნიას დრამა „და-

ქითექტონური სისტემა ხმებისა, იმ პიროვნებისთვის, რომელიც ცოცხალ ეროვნულ ერთეულის წევრია, შეკავშირებული მის აზრებთან, გრძნობებთან და ნების-ლტოლვასთან?! რამდენ ახალ თვისებას იძენს ენა სოციალურ თვალთსაზრისით! სულიერ შინაგნობის-წარმოდგენათა და გრძნობათა გამომხატველი უძლიერესი და უგავლენიანესი საშუალება, სოციალურ გამოცდილების დამგროვებელი და შემნახველი იარაღი, ურომლისოდაც ყოვლად შეუძლებელია კულტურული წინსვლა, სოციალური ნასკვი, რომელიც უფრო მჭიდროდ და სამუდამოდ აკავშირებს საზოგადოებას, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური ან სარწმუნოებრივი დაწესებულება, ფსიხიური პროცესი, ურომლისოდაც შეუძლებელია აბსტრაქტულ ცნებათა შედგენა და, მაშასადამე, აზროვნების განვითარება: და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ენა გარეგნული გამოხატულებაა იმ სოციალფსიხიურ ჰარმონიისა, რომელსაც ეროვნება ეწოდება და არა ჰეტეროგონულ, ერთი მეორისაგან დამოკიდებულ პიროვნებათა მიერ გამოგონილი იარაღი.

ვუნდტმა აღნიშნა ვილჰელმ ჰუმბოლდტის ღვაწლი, რომელიც ამ მეცნიერს მიუძღვის ენის ფილოსოფიის წინაშე (ვ. ვუნდტი: „ენა და ეროვნება“, ნარკვევები, გამოც. 2, გვ. 271): პირველად ჰუმბოლდტმა დაინახა ნათლად ძველის ფილოლოგიის სისუსტე და ნაკლულევანება და დაამტკიცა, რომ ენა არის არა მარტო შედეგი აზროვნებისა, არამედ მისი მიზეზიც, „რომ იგი უწინარეს ყოვლისა არის არა ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებული იარაღი, რომელიც მზად არის ყოველმხრივ მოსახმარად, არამედ თვით იმ სულიერს მოქმედებაში მდგომარეობს, რომელიც მას შეუწყვეტლად ჰქმნის“. შემდეგ თვით ვუნდტმა განაგრძო ჰუმბოლდტის მიერ დაწყებული შრომა და თავის სოციალფსიხოლოგიურს თხზულებებში, განსაკუთრებით თავის მონუმენტალურს „ხალხთა ფსიხოლოგიაში“ (ტომი 1 და 2: „ენა“. მეორე გამოც., ლეიპც. 1904 აგრეთვე: ნარკვევები. „ენა და აზროვნება“, მეორე გამოც., ლეიპც., 1906 წ. „ენის ფსიხოლოგია და ენის ისტორია“, ლეიპც., 1901) შეჰქმნა ვოლუნტარისტული თეორია ენისა, რომელიც, ჩვენის შეხედულებით, ყველაზე უკეთ ხსნის ენის დედა აზრს, მის წარმოშობას და განვითარებას.

ენა, ამ თეორიის მიხედვით, „გამომხატველი მოძრაობაა“, თუმცა, რასაკვირველია, უფრო რთული, მრავალმხრივი და არქიტექტონულად აშენებული, ვიდრე სხვა „გამომხატველი მოძრაობანი“: გულის და მაჯის ცემა, ცვლილება სისხლის დენაში, სუნთქვა, სახის გამომეტყველება, მიხვრა-მოხვრა და პანტომიმიკა. ამიტომ ის უწინარეს ყოვლისა იმავე საერთო ფსიხოლოგიურს კანონებს ექვემდებარება, რომელსაც სხვა ელემენტარული „მეტყველი მოძრაობანი“: როგორც, მაგ., სახის ერთგვარი გამოხატულება, სიწითლე, გულის და მაჯის ცემის და სუნთქვის აჩქარება, ხელების მოძრაობა მოგვითხრობს ადამიანის ამაღელვებელს გრძნობებზე ან გაფითრება, სახის შეშლა, გულის ცემის და სუნთქვის შეჩერება და ხელების გაშეშება მოწმობს უძლიერესს აფექტს—ისევე ენაც, სიტყვებისა და დალაგებულ წინადადებების შემწეობით ჰხატავს ადამიანის შინაგან გამოცდილებას, ცნებებს, აზრებს, ემოციონალურს მდგომარეობებს და სხ. მხოლოდ ბევრად უფრო მდიდარი, ყოველმხრივი, გასაგები, თვითეულ მდგომარეობასთან დეტალურად შესაბამებულის საშუალებებით. მაგრამ ერთი ნიშანდობლივი თვისება ანსხვავებს ყველაზე ნათლად ენას სხვა „მეტყველ მოძრაობათაგან“ და ჰქმნის შეუდარებელ იარაღად: ესაა მისი განსხვავებული დამოკიდებულება ადამიანის ნების ყოფასთან. უმრავლესობა ელემენტარულ „მეტყველ მოძრაობათა“ სრულიად დამოუკიდებელია შეგნებულ ნების-ყოფის გავლენისაგან და შეუგნებლად, რეფლექტიულად მოქმედებს: სირცხვილის სიწითლე, შიშის გაფითრება ან ზიზღის და სიძულვილის ჟრუანტელი ხშირად მაშინაც კი ამჟღავნებს ადამიანის შინაგანს მოძრაობას, როცა მას მისი დამალვა ბევრად ურჩევნია, ძლიერის აფექტების და ვნებათა-ღელვის ჩაჩრდილვა კი ხომ სრულიად შეუძლებელია თუნდ უძლიერეს ნების-ყოფის საშუალებითაც. სულ სხვაა ენა: ტალეირანმა დიპლომატიურის გონებასიმახვილით სთქვა—ენა იმიტომა მაქვს, რომ თავის დროზე ვსდუმდეო. ეს თავის დროზე დუმილი კი შეუძლებელი იქმნებოდა, ენა რომ ნების-ყოფას არ ემორჩილებოდეს.

ენა ისევე, როგორც აზროვნება, აპერცეფციული მოვლენაა და არა ასოციაციიური—აი, მოკლედ ის დასკვნა, რომელზედაც მივიდა თანამედროვე ფსიხოლოგიური მეცნიერება. ეს იმას ნიშნავს, რომ სად, ჭეშმარიტ აზროვნების დროს ადამიანი პასიურად კი არ ეძლევა წარმოდგენათა ასოციაციას, არამედ განუწყვეტლივ შეგნებულ ნების-ყოფის შემწეობით სცდილობს, აზრთა მიმდინარეობა იმ კალაპოტში ჩააყენოს, რომელიც მიზანთან ყველაზე ადრე მიიყვანს, სცდილობს, ცნებათა და იდეათა სისტემა არქიტექტონიულად დედა-აზრს დაუქვემდებაროს და უსარგებლო ბილიკებზე სვლას აიცილოს. ენაც იმ შინაგან აპერცეფციულ პროცესის გარეგნული გამოხატულებაა: ნების-ყოფა, რომელიც დალაგებულ აზროვნებას ჰქმნის, იმავე დროს მას მის გარეგნულ მხარეს—ენას უსაბამებს. ენა და აზროვნება ორი მხარეა ერთისა და იმავე ნების-ყოფის პროცესისა: ადამიანი ლაპარაკობს ისე, როგორც აზროვნებს, სიტყვათა მიმდინარეობა აუცილებლად და სავსებით ეთანხმება აზრთა მიმდინარეობას. დედა-ენა არის არა შემთხვევითი დამატება ადამიანისა, არამედ თვით იმის აზროვნებასთან ორგანიულად შეზრდილი პროცესსი, რომლის გამოცვლა თვით იმ აზროვნების ნაჩვევ მიმდინარეობის გამოცვლას მოასწავებს. ის განსხვავება, რომელიც არსებობს სხვა და სხვა ენათა შორის გამოთქმის, სიტყვათა სიმდიდრის, მოდულაციის, ხმის აწევის, ხმის ცვლილების, წინადადების დაწყობის და აშენების მხრივ, წარმოსდგება არა რაიმე გარეგნულ უბრალო შემთხვევისაგან, არამედ თვით აზროვნების სხვა და სხვაობისაგან: მაგ., ვჰვს გარეშე, რომ წინადადებას თვითეული ეროვნება ისე აშენებს, როგორც იგი აზროვნებს და სიტყვათა თანდათანობა შეესაბამება ცნებათა თანდათანობას; ამიტომ ვისაც შეუმჩნევია ის განსხვავება, რომელიც არსებობს სხვა და სხვა ენას შორის ამ მხრივ, წარმოიდგენს დაახლოვებით მაინც, რა დიდი უნდა იყოს განსხვავება მის შემქნელ ეროვნულ ფსიხიკათა შორის. თვითეული ეროვნება ლაპარაკობს ისე, როგორც აზროვნებს: მას არ ძალუძს სხვანაირად ილაპარაკოს, იმიტომ რომ არ ძალუძს სხვანაირად იაზროვნოს, თუ, რასაკვირველია, თავის სულიერ ბუნებას არ დაამახინჯებს.

„ენის, როგორც წარმოდგენათა გამომხატველ გასაგებ ფორმის, არსებობა—ამბობს ვუნდტი—შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ თვით ეს წარმოდგენანი და მათთან შეკავშირებული გრძნებანი და ლტოლვანი საყოველთაონი არიან და თუ ამიტომ თვითეულის მიერ ნახმარი ხმა შეიძლება გაგებულ იქმნას იმის შეფარდებულს სურათად, რასაც ყველანი გრძნობენ და განიცდიან. ენის იგივეობა, ამგვარად, უკვე ცხოვრების ერთიანობას გულისხმობს ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით... ენა წარმოსდგა არა წინასწარ მოფიქრებისა ან ანგარიშიან წინდახედულებისა ან, მით უმეტეს, ბრმა აუცილებლობისაგან. ნაყოფი იმავე ნების ყოფისა, რომელიც დალაგებულს აზროვნებასაც განაგებს, იგი (ენა) გარეგნულად ცხადჰ-ყოფს ამ აზროვნების კანონებს და გვაჩვენებს მათ, როგორც ბუნების ქმნილებას. ცალკე პიროვნების ნების-ყოფასაც მძლავრად უშრომია მასზე; მაგრამ, როგორც მთლიანი რამ, იგი ღვიძლი შვილია საერთო ნების-ყოფისა, რომელიც იმის საშუალებით თვითეულს ინდივიდუალობას თავის იარაღად ჰხდის. წარსულ დროთა ყველა თაობას დაუტოვებია მასზე წაუშლელი კვალი. იქიდან მოისმის შორეული ხმები მითებისა და ზღაპრებისა თანამედროვე იდეების გვერდით. ყველგან ადამიანი შეეცადა აღებჭურვა ის თავის საუკეთესო ნიჭის, ფანტაზიის და ჭკუის შემწეობით და კანონები, რომელნიც იმის სულიერს ცხოვრებას ბატონობენ, გამოსჭვივიან ენიდანაც, რომელიც ამ ცხოვრებას უკვდავს ფორმებში ასხამს. ამგვარად, იგი ორივე არის ერთსა და იმავე დროს—ხელოვნური და ბუნებრივი ნაყოფი“.

ენის იგივეობა გულისხმობს ნების-ყოფის და, მაშასადამე, შემოქმედ სულის და ნიჭის იგივეობას, ენის სხვადასხვაობა, პირიქით, ნების-ყოფის და მასთან ერთად ნიჭისა და ხულის სხვადასხვაობასაც. აქედან ცხადად სჩანს მთელი ტრაგიზმი და საშინელება იმ ეროვნების მდგომარეობისა, რომელსაც აძალებენ, მას ფსიხიურს ბუნებისთვის სრულიად უცხო და შეუსაბამებელს ენის ტერმინებში იაზროვნოს, ტრაგიზმი ნორჩ თაობისა, რომელიც იძულებულია, თავისი ახალი ფრთაგაშლილი აზროვნება სხვის მიერ შექმნილს კალაპოტში ჩასვას. ესაა მუდმივი დისჰარმონია ადამიანის სულიერს შინაგნობისა და მის გარეგნულს გამოხატულების შორის, მუდმივი ბრძოლა ფორმისა შინაარსთან, სურვილისა ასრულებასთან,—უსიტყო, აუჩქარებელი, ფარული დრამა, რომელიც აუცილებლად პიროვნების დამახინჯებით თავდება. მთელი სულიერი შემოქმედება ქართველ ინტელიგენციისა ამ შეურიგებელს ტრაგიკულს კონფლიქტზეა აშენებული და რა გასაკვირალია, თუ იგი ამ განსაცვიფრებელს უნაყოფობას და ურიჯობას იჩენს?!

**გერონტი ქიქოძე.**

(დასასრული იქნება)

ძმა“, დაიწყისი საღამოს 8½ საათზე.

✦ **ექსკურსანტების საყურადღებოდ.** გვთხოვენ დავბეჭდოთ „ქ. კიევიდან გამოსული მეორე ექსკურსია, საერთო დადგენილების თანახმად, დაბრუნდება უკან აგვისტოს 22-ს. გავახსენებ რა ამას ამხანაგებს, ვთხოვ, ფული (5 მ.) რაც შეიძლება ადრე გამოგზავნონ, ადგილი სულ 47-ია. ფულის ადრესი: ქ. ოზურგეთი. გიორგი დუმბაძეს“.

✦ **ბლაღოჩინების კრება.** შემოდგომისთვის ტფილისში განზრახულია ქართლ-კახეთის ეპარქიის ბლაღოჩინების კრება (კ.).

✦ **ეკლესიის კურთხევა.** სემინარიის ახალ შენობაში ეკლესიის კურთხევა დანიშნულია 1 სექტემბრისთვის.

✦ **იონა ბრიხნიჩევი.** „რუს. სლ.“-ს ცარიცინიდან დეპეშით ატყობინებენ: „მღვდლობიდან გადაყენებული „ვსტან სპიაშჩი“-ს, „კსვეტუ“-ს, „სლუშაი ზემლია“-ს და „გოროდ ი დერევნია“-ს რედაქტორად ნამყოფი იონა ბრიხნიჩევმა თავის მოკვლა განიზრახა და ვოლგაზე გემიდან წყალში გადავარდა. მაგრამ მენავეებმა მალე შენიშნეს და გადაარჩინეს“.

✦ **თავ. ვ. ჩერქეზიშვილი.** ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილემ ალ. ი. ხატისოვმა წერილი მიიღო ქალაქის თავის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილისაგან. ქალაქის თავი უკვე გამოსულა მარსელიდან და 13 აგვისტოს ბათუმში იქნება,

✦ **დღესასწაული.** ტფ. ქალაქის გამგეობამ 7 აგვისტოს სხდომაზე განიხილა მოწერილობა კავკასიის სამხედრო შტაბისა იმის შესახებ, რომ ქალაქის სამართველომ მონაწილეობა მიიღოს მთავრობის დღესასწაულში, რომელიც გაიმართება აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის 50 წლის თავის აღსანიშნავად. გამგეობამ დაადგინა, მონაწილეობა მიიღოს დღესასწაულში და დაავალოს გამგეობის წევრს ნ. გ. არგუთინსკის დახმარება აღმოუჩინოს 25 აგვისტოს სახალხო სეირნობის გამმართველთ. ეს სახალხო სეირნობა გაიმართება ინვალიდ ღარიბ ჯარისკაცთა სასარგებლოდ.

✦ **ერობის შესახებ,** ერობის შესახებ საგუბერნიო სათათბიროს ბიურომ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, სხდომები ყოველ-კვირაობით გამართოს. სხდომები მოხდება სამშაბათობით, ნაშუადღევის 1 საათზედ.

✦ **კურთხევა.** დღეს, 8 აგვისტოს, ჩაყრიან საძირკველს ზუბალაშვილის სახელობის საბავშვო საავადმყოფოსას და აკურთხებენ. საძირკვლის ჩაყრა და კურთხევა მოხდება 12 საათზე.

✦ **პანაშვიდი.** 6 აგვისტოს ქაშვეთის წმ. გიორგი ტაძარში გადახდილ იქნა წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ვლადიმერ ლორთქიფანიძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის ნათესავები, მეგობრები და პატივის მცემელნი.

✦ **უპასპორტოები.** 5 აგვისტოს გაჩხრეკის დროს ვერაზედ დააპატიმრეს სამი, ხოლო შუა ბაზარში 43 უპასპორტო კაცი.

✦ **საქველ-მოქმედო საზოგადოება და სკოლები.** სომეხთა საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობამ ცირკულიარული მიწერილებანი დაუგზავნა იმ სასწავლებლების გამგეთ, რომელთაც საზოგადოება ეხმარება. გამგეობა ატყობინებს სას წავლებლებს, რომ იგი კისრულობს ხელმძღვანელობას ამ სასწავლებლებისას—მასწავლებელს აირჩევს გამგეობა და სხვ.

✦ **ნიხრის დაკლება.** ქალაქში საკლავი საქონელი და ფქვილი გაიაფდა. ამის შესახებ მოხსენება ქალაქის გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე განიხილა და დაადგინა, პურის ნიხრი შემცირებულ იქნას ½ კაპ., ძროხისა და ცხვრის ხორცი თითო კაპეიკით.

✦ 5 აგვისტოს შავშავაძის ქუჩაზე დააპატიმრეს ტფ. მოქალაქე გიორგი ენუქიძე, რომელსაც ბრალდება პოლიციელის საბა პასენკოს მკვლელში მონაწილეობის მიდება. გაჩხრეკის დროს ენუქიძეს წელზე შემორტყმული აღმოაჩნდა პატრონების საწყობი. დაპატიმრებული გამომძიებელს გადაეცა.

✦ 5 აგვისტოს საღამოს 10 საათზედ ლუკიანოვის სახლის მესამე სართულიდან გადმოვარდა ქვლივიძის მოსამსახურე ქალი, 11 წლისა, დარია კოხტაშვილი, რომელიც ძლიერ დაშავდა. დაშავებული საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ 6 აგვისტოს დესიმონოვის მოედანზე მეორე სართულიდან გადმოვარდა ენგურაზოვის ცოლი ტიუტლია და ძლიერ დაშავდა. დაშავებული მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

---

**შეცდომის გასწორება.** წარსულ ნომერში ვწერდით, რომ ცნობა „ბათუმ. ნოვოსტის“ შესახებ (ვითომ ბ-ნი დემურია ბ-ნ პალმთან ერთად აპირებდეს გაზეთის გამოცემას) „ზაკავკაზიიდან“ ამოვიღეთ. ეს შეცდომაა: ეს ამბავი, როგორც იქვეა აღნიშნული, ამოღებული იყო „ტიფ. ლისტოკი“-დან.

## სპარსეთი

**რაზმების გაგზავნა პროვინციებში.**

ახალმა მთავრობამ სპარსელ ყაზახებისა, ბახტიარებისა, და რევოლციუციონერებისგან რაზმი შეადგინა და ზენჯანში გაგზავნა წესიერების დასაცველად. ამ რაზმში 400 კაცია. ამას გარდა მთავრობამ ათას-ათასი კაცი გაგზავნა თავრიზსა და შირაზში.

**ახალი შაჰი.**

თეირანიდან ატყობინებენ ინგლისურ გაზეთებს, რომ ბავშვი შაჰი კიდევ შეეცადა რუსეთის საელჩოში გაქცევას იმ აზრით, რომ თავის მამას გაჰყოლოდა რუსეთში. მაგრამ იგი ისევ დაიჭირეს მისმა დამცველებმათ.

**მამედ-ალი.**

შაჰად ნამყოფის წასვლა რუსეთში კიდევ გადიდვა სხვა და სხვა მიზნით. გადაწყვეტილია, რომ მამედ ალის 200 სპარსელი ყაზახი გააცილებს ზერგენდედან (რუსის საელჩო, სადაც ამ ჟამად ცხოვრობს მამედ-ალი, იმყოფება ზერგენტეში), ენზელამდე და იქ რუსის რაზმს ჩააბარებს.

მამედ-ალი, როგორც ამბობენ, დასახლდება ყირიმში. მისი ერთგული თანაშემწე პოლკოვნიკი ლიახოვიც იქვე იცხოვრებს, რადგან ბელოსტოკის პოლკი, რომლის უფროსადაც იგი დანიშნეს, სდგას ყირიმში. ამბობენ, რომ თითონ შაჰმა ითხოვა ლიახოვს ნუ მომაშორებთ. ყირიმში შაჰის დასახვედრად წავა აგრეთვე მის მრჩევლად ნამყოფი ცნობილი შაფშალი.

ბოლო დროს ხმა გავრცელდა, რომ იქნება შაჰად ნამყოფი ქალ. ოდესაში დასახლდესო.

**რუსეთის ახალი ელჩი.**

რუსეთის ახალი ელჩი პოკლევსკი-კოზელი იმ წამს წავა სპარსეთში, რა წამს ცნობას მიიღებს, რომ შაჰად ნამყოფი მამედ-ალი სპარსეთიდან წავიდა.

**რევოლიუციონერების ძეგლი.**

სპარსეთის უმაღლესმა კომისიამ პროექტი შეადგინა, რომ დახოცილ რევოლიუციონერებს ძეგლი დაუდგან თეირანის ერთ-ერთ საუკეთესო მოედანზე. ამას გარდა, კომისია პროექტს ადგენს, რომ დახოცილ რევოლიუციონერების სახლობები უზრუნველ ჰყოს მთავრობამ.

## საყოველთაო გაფიცვა შვეციაში

ქალ. მალმეში გაფიცულმა მუშებმა დაარსეს საკუთარი ფურნე, რომელიც ყოველ დღე 6,000 პურს აცხობს, მუშები უფასოდ აცხობენ პურს ამ ფურნეში. მალმეს მუშების მეთაურმა განაცხადა, მუშები რამდენსამე კვირას შესძლებენ ბრძოლასო.

მთელს შვეციაში სამაგალითო წესიერებას იცავენ და საოცარის თანხმობით მოქმედებენ გაფიცული მუშები. ის ცნობები, ვითომ ზოგიერთ საქმეში მუშაობა დაიწყოო, ტყუილი გამოდგა. ასეთს ტყუილს ცნობებს თურმე ბურჟუაზიული გაზეთები ავრცელებენ განზრახ.

## ოსმალეთ-საბერძნეთის დავა

**სახელმწიფოების მეცადინეობა.**

საბერძნეთის მეფეს გიორგის დეპეშით შნატყობინეს პეტერბურგიდან: სახელმწიფოები ყოველ ღონეს იღონებენ, რომ ოსმალეთსა და საბერძნეთს შორის ომი არ მოხდესო.

ოსმალეთის ელჩებმა ლონდონიდან და პარიზიდან შეატყობინეს ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს რიფააქფაშას, რომ თუ ვინიცობაა ომი დაიწყო, მფარველ-სახელმწიფოების ფლოტი დემონსტრაციას მოახდენს ოსმალეთის ნაპირების ახლოო.

**ოსმალეთის მუქარა.**

ოსმალეთის მთავრობამ უბრძანა თავის ელჩს ათინაში, თუ საბერძნეთის მთავრობა 4 აგვისტოს პასუხს არ ჩაგაბარებს ჩვენს უკანასკნელ ნოტაზე დაუყოვნებლივ წამოდით ათინიდანო.

როგორც დღევანდელი დეპეშა იუწყება, საბერძნეთის პირველ მინისტრს როდის უკვე ჩაუბარებია პასუხი ოსმალეთის ელჩისთვის...

**ბოიკოტი.**

ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტმა გაზეთებში მოწოდება დაბეჭდა. კომიტეტი მოუწოდებს ხალს, საბერძნეთს ეკონომიური ომი დაუწყოს.

ამ. მოწოდების თანახმად სტამბოლში 4 აგვისტოს უკვე დაუწყეს ბოიკოტი ბერძნის საქონელსა და გემებს; მუშები აღარ ტვირთავენ, აღრც სცლიან ბერძნის გემებს.

**ბერძენ-აფიცრების დადგენილება.**

ათინიდან ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს: ბერძენმა აფიცრებმა საიდუმლო კრება მოახდინეს და დაადგინეს, თუ საბერძნეთის მეფე ხელს აიღებს კუნძულ კრიტეზე მოვითხოვოთ, რომ იგი ტახტიდან გადადგესო.

**საბერძნეთ-სერბიის კავშირი.**

ოსმალეთის მთავრობას შეუტყვია რომ საბერძნეთსა და სერბიას მოლაპარაკება აქვთ გამართული სამხედრო კავშირის შესახებო.

**საუბარი კრიტელ მოქალაქესთან.**

საბერძნეთის საელჩოს ეელესირს მოძღვართან პეტერბურგში სტუმრად მისულა კრიტეს გამოჩენილი მოქალაქე გიორგი პაპადო-ანაკი, რომელიც სულ სამი კვირის წინად გამოსულა კრიტიდან. მას სანკტ-პეტერბურგში ცნობები მიუცია „რეჩ“-ის თანამშრომლისთვის კრიტეს საქმის თაობაზე.

— მე რომ წამოველ კრიტიდან, ჯერ ევროპის სახელმწიფოების ჯარი არ იყო გაყვანილი იქიდან. აქ პეტერბურგში გავიგე, რომ ლამის ომი ასტყდეს ოსმალეთსა და საბერძნეთს შორისო, და მეტის მეტად გავკვირდი. მფარველ სახელმწიფოები ადრევე დაგვპირდნენ, ჯარს გავიყვანთ კუნძულიდანო. ჩვენ გვეგონა, რომ ამ დაპირებით სახელმწიფოები სთანხმდებოდნენ ჩვენის კუნძულის საბერძნეთთან შეერთებას. სახელმწიფოებმა კარგად იცოდნენ, რომ ჩვენ დიდის ამბით ვაპირებდით მომავალ 14 აგვისტოს კრიტეს შეერთებას საბერძნეთთან; ეს მით უფრო კარგად უნდა სცოდნოდათ, რომ წარსულ წლის სექტემბერშივე, ავსტრო-უნგრეთმა რომ ბოსნია-ჰერცოგოვანა შეიერთა, ჩვენ დამოუკიდებლად გამოვაცხადეთ ჩვენი კუნძული. ჩვენი ადმინისტრაცია მოქმედებდა საბერძნეთის მეფის სახელით, ჩვენებურ ფოსტის მარკებზე დახატულია საბერძნეთის მეფის გიორგის სურათი, და ყველა ეს ხდებოდა სახელმწიფოთა კონსულების თვალწინ.

ამ ჟამად-კი ყველა ჩვენი სურვილი და იმედი გააქარწყლეს, ესეც არა გვაკმარეს და მფარველი სახელმწიფოები, როგორც ბოლონდელ ცნობებიდან ჩანს, ცდილობენ ოსმალური წესები და ოსმალელი გენერალ-გუბერნატორი მოგვახვიონ თავზე. ეს ჩვენთვის დიდად საწყენია. ჩვენი დაუსრულებელი ბრძოლა თავისუფლებისათვის და ის ურიცხვი მსხვერპლი, რომელიც შევწირეთ ჩვენს ეროვნულ თავისუფლებას,—ყველა ეს დაივიწყეს მფარველმა სახელმწიფოებმა, რომლებიც ამ ჟამად მარტო ოსმალეთის სიამოვნებას ცდილობენ.

ყოველი უთანხმოება და დავიდარაბა კრიტეს საქმის გამო იმ გარემოებამ გამოიწვია, რომ მფარველი სახელმწიფოები თავიანთ საკუთარ სარგებლობის თვალით უცქერიან ჩვენს საქმეს. მათ ავიწყდებათ, რომ სანამ კრიტე სრულ ავტონომიას არ მიიღებს, მანამდე მათ ინტერესებს ყოველ წამს განსაცდელი მოელის კრიტზე. ჩვენი კუნძული მხოლოდ მაშინ დამშვიდდება, როდესაც იქ სამუდამოდ აფრიალდება საბერძნეთის ბაირაღი.

კრიტზე ამ ჟამად 400,000-მდე მცხოვრებელია. აქედან 10 პროცენტამდე, ესე იგი 35—40 ათასი მცხოვრები მუსულმანია, დანარჩენი ქრისტიანი ბერძენია. კრიტე მუდამ ქრისტიანობის ბურჯი იყო და ის 40 ათასი კრიტელი მუსულმანიც, შთამომავლები არიან იმ ბერძნებისა, რომლებსაც მეცხრე და მეათე საუკუნეებში, როდესაც არაბებმა ეს კუნძული წაართვეს ბიზანტიის იმპერიას, მუქარით მიაღებინეს მუსულმანობა.

კუნძულის ზოგიერთ ქალაქებში არსებობს მუსულმანთა კომიტეტები, რომლებსაც მუდმივი მიწერ-მოწერა აქვს სტამბოლის კომიტეტთან. აი სწორედ ამ კომიტეტებში სხედან ის ფ ნატიკოსები, რომლებიც აღელვებენ კრიტელ მუსულმანებს.

ჩვენში დიდი თუ პატარა ოცნებობს კუნძულის შეერთებას საბერძნეთთან, რომელიც სისხლსა ჰღვრის ჩვენის თავისუფლებისთვის. რაც უნდა ძლიერი და დაბრკოლება დაგვიყენონ წინ, ჩვენ ვძლევთ მათ. ჩვენ ყველანი შეიარაღებული ვართ. კაცი, ქალი, თუ ბავშვი ყველანი თავს გამოიდებენ თავიანთ უფლების დასაცველად, ჩვენ გავწყდებით და ოსმალეთის მონობას აღარ ავიტანთ.

## რუსეთი

✦ **უვიცობა.** „რუსკ. სლოვო“-ს პსკოვიდან დეპეშით ატყობინებენ: დაბა ალექსანდროვკაში ბრბომ კინაღამ მოჰკლა სტუდენტი—მედიკი კოლიანსკი, და საშინლად სცემა ფერშალ ვოლკოვს, ხოლერას ავრცელებთო. ნაცემია მამასახლისიც, რომელიც სტუდენს მიეშველა და სიკვდილისგან გადაარჩინა. დაბა ალექსანდროვკაში ეს რამდენიმე ხანია ხოლერაა. აქვე ხოლერიანების საავადმყოფოა გამართული. ვოლიანსკის და ვოლკოვის ჩამოსვლისთანავე გლეხები მტრულად შეხვდნენ მათ, ხოლერას „სტუდენტები“ ავრცელენო. როდესაც ხოლერიანები იხოცებოდნენ, ხალხი ყველა ამას სტუდენტს და ფერშალს აბრალებდა. ავადმყოფებს მგონი სწამლავენო. სტუდენტს და ფერშალს კარგა ხანია აფრთხილებდნენ, მაგრამ მათ არა სჯეროდათ. როდესაც ბრბო სტუდენტს მოკვლას უპირებდა და ფერშალ ვოლკოვს სცემდა, იქვე პოლიციელები იყვნენ, მაგრამ მათ ყურადღებაც კი არ მიაქციეს ამ გარემოებას“.


## განცხადებანი

**პირველი ქართ. სამკურნალო**

**დოქტ. ნავასარდიანისა**

დაარსებულია 1880 წელს
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირეებს გარდა

**დილით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ბვეტიხაიანცი:** 1—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. მუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან. ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურზოვიჩი:** 1—2 ნახ. საათამ. საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ნ. ვ. ველსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარცინშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. ხამკურნალოს დოქტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(წ.—1—146)

## სახლი

რომელიც იყიდებოდა 8 ათას მანეთად, პატრონის წასვლის გამო, ეხლა იყიდება ხუთი ათას მანეთად.

კოჩუბეის ქ, № 16, ჰკითხეთ დეკანოზოვს. (3—1009—2)

## ●●● !!!ავადმყოფთა საყურადღებოდ!!! ●●●

რადგან გაჩნდა ჯანმრთელობისთვის მავნებელი ყალბი სპერმინი, რომელსაც სხვა და სხვა სახელით ასაღებენ, საჭიროა ყიდვის დროს ყურადღება მიაქციოთ სახელს

**СПЕРМИНЪ ПЕЛЯ**
**ПРОФ. ДОКТОРА**

✦✦ SPERMINUM POEH ✦✦

და მოსთხოვეთ ის, რომელიც ჩაწყობილია **პროფესორ დოქტორის პელის და შვილების ორგანოთერაპევტიულ ინსტიტუტის** მიერ პეტერბურგში.

რუსულ და საზღვარ-გარეთელ ლიტერატურაში მეცნიერთა და ექიმთა მრავალი მეცნიერული გამოკვლევაა სპერმინის შესახებ. ამ გამოკვლევებიდანა სჩანს, რომ სპერმინი მეტად სასარგებლო წამალია **ნევრასტენიის, სქესობრივ უძლურების, მოხუცობის უძლურების, ისტერიის, ნევრალგიის, სისხლ-ნაკლებობის, ჭლექის, სიფილისის, ვერცხლის წყლის წამლობით შედეგის, ჭარების, გულის ავადმყოფობის** (სიმსივნის, გულის სკლეროზის, გულის ფრიალის, გულის კანკალის, მიოკარდიტის), **არტერიოსკლეროზის, ალკოჰოლიზმის, ხერხემლის ტვინის დასუსტების, სიდამბლის, სისუსტის, დაქანცულობის და სხვა ავადმყოფობის დროს.**

**ამ მეცნიერთა და ექიმთა წერილები ეხება მხოლოდ პროფესორ დოქტორ პელის სპერმინს.**

**სპერმინ-პელისა** იყიდება ყველა აფთიაქსა და დიდ სააფთიაქო მაღაზიაში: 1) კაპლების მსგავსად (Essentia Spermini-Poehl) 1 ფლაკონი—3 მ., აგრეთვე 2) ამპულებად კანქვეშ შესასხურებლად (Sperminum-Poehl pro injectione) 1 კოლოფი ოთხ შესხურებისთვის—3 მ. და 3) კლაზმებისთვის (Sperminum-Poehl pro clysm) 1 კოლოფი 4 კლიზმისთვის—3 მან.

უფასოდ იგზავნება წიგნი Цѣлебное дѣйствіе Спермина-Пеля (182 გვ.), რომელშიაც მოთავსებულია დაკვირვებანი რუს და უცხოელ ექიმებისა, აგრეთვე „Органотерапевтическій Сборникъ“ (მეცრე გამოცემა), სადაც აღნიშნულია პროფესორ დ—რ პელის სხვა ორგანოპრეპარატები, ბ-ნ ექიმებისთვის, თუ მოითხოვენ, განსაკუთრებული სამეცნიერო ლიტერატურა.

**ორგანოთერაპევტიული ინსტიტუტი, ქიმიური ლაბარატორია და აფთიაქი**

◀ **პროფესორ დოქტორ პელის და შვილებისა** ▶

პეტერბურგში, ვასილ. კუნძ., 7 ლინია, ს. № 18-268.

უმაღლესი საჩუქარი (Grands Pris) ყველა მსოფლიო გამოფენაზე და საუკეთესო წერილები სამკურნალო ავტორიტეტისა.

(5—მეტ.—4) 78775.—Л. и Э. Метцль и Ко.


## ა ნ გ ა რ ი შ თ ა მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა

ქიათურის შავი ქვის მრეწველთა საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა,

**1 ივლის 1909 წელს.**

აქტივი (აქვს).

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| 1. კასსა, ნაღდი ფული | | 5345 | 97 |
| 2. სახელდახელო ანგარიში: | | | |
| ა) სახელმწ. ბანკში და ხაზინაში | 130,— | | |
| ბ) ქუთ. განყ. აზ. დ. კ. ბანკ. | 61,71 | 191 | 71 |
| 3. სარგებლ. ქაღალ. | | | |
| ა) სათადარიგო თანხ. ანგარ. მ. | 896,38 | | |
| ბ) საზოგადოების ანგარ. „ | — — | 896 | 38 |
| 4. განაღდება თამასუქებისა არა ნაკლებ ორის ხელის მოწერით | | 42313 | 44 |
| 5. განაღდება სარგ. ქაღალდ. კუპონები და სხვა | | 12628 | 12 |
| 6. პროტ. წასული თამასუქ. (უზრუნ.-ყოფ. თანხა იხ. გ. პას.) | | 5699 | 80 |
| 7. სესხი გაც. გირავ. | | | |
| ა) სარგ. ქაღალდები უზრუნ.-ყოფილ სარგ. | — — | | |
| ბ) სარგ. ქაღალდები არა უზრუნ.-ყოფ. მთავ. მიერ | 8860,— | | |
| გ) შავ ქვაზე (2504647 ფ.) | 94645,03 | | |
| დ) საქონელზედ | 1500,— | 105005 | 03 |
| 8. კორესპონდენტ. | — — | | |
| ა) იმათ ანგარ. | 1030,18 | | |
| ბ) საზოგ. ანგარ. | 1,— | 1031 | 18 |
| 9. გერბ. ქაღალდ. და თამ. | | 64 | 91 |
| 10. მოწყობა-გამართვა საზოგად. | | 2567 | 47 |
| 11. ხარჯი დასაბრ. | | 2396 | 87 |
| 12. ზარალი 1905 წ. | | 218 | 78 |
| 13. მიმდინარე ხარჯი | | 4024 | 59 |
| 14. მიცემული სარგებ. და კომისია. | | 5715 | 74 |
| **ბალანსი.** | | 188099 | 99 |

(მართებს) პასსივი.

| | | მან. | კ. |
|---|---|---|---|
| 1. თანხა, რაიცა შესდგება 10 პროცენტ. შემ. სასწ. ფულით 215 წევრთა მიერ, მიცემულ ვალდებ. რაოდ. საზ. წინაშე | | 19330 | — |
| 2. დასაბრ. საწევრო ფული, თანახმად §§ 12 და 14 წეს. საზოგ. | | 361 | 24 |
| 3. თანხა: | | | |
| ა) სათადარიგო | 5262,18 | | |
| ბ) ამორტიზაც | 1275,84 | | |
| გ) პროტ. წას. თამასუქების უზრუნ.-საყ., შემდეგ 1906—8 წ. მოგებიდან | 5804,80 | 12342 | 82 |
| 4. შემოტ. ფული: | | | |
| ა) სახელდ. ანგ. | 26371,33 | | |
| ბ) ვადით | 29328,71 | | |
| გ) უვადოთ | 400,— | 49099 | 44 |
| 5. განაღდ. თამას. საზოგად. მიერ: | | | |
| ა) სახელ. ბანკის განყოფ. მან. | 16100,— | | |
| გ) აზ. დ. კ. ბანკ. ქუთ. განყ. | 10572,— | 26672 | — |
| 6. საგანგებო სახ. ანგარ.-უზრ.-ყოფ. | | | |
| ა) სარგებლ. ქაღალდ. მან. | 642,94 | | |
| ბ) შავის ქვის | 23968,73 | 24611 | 67 |
| 7. სესხი აღებ. საზ. მიერ შავი ქვის გირავნობით | | 35349 | 93 |
| 8. კორესპონდენტ.: | | | |
| ა) იმათის ანგარ. (Loro) | 2387,35 | | |
| ბ) საზოგ. ანგარ. (Nostro) | 4454,05 | 6841 | 40 |
| 9. გადასაგზ. შემოტ. ფული | | — | — |
| 10. გარდამავ. თანხა | | 1825 | 63 |
| 11. სარგებელი მიუღებელი ფულის შემომტანელთა | | 720 | 77 |
| 12. 5 პროც. სახელ. გარ. | | 206 | 10 |
| 13. წმინდა მოგება 1908 წლისა | | — | — |
| 14. შემოსული სარგებელი | | 10738 | 99 |
| **ბალანსი.** | | 188099 | 99 |

თავმჯდომარე გამგეობისა **თავ. ი. გ. აბაშიძე.**
ბუხჰალტერი **სოფ. ტარუაშვილი.**

დირექტორები: ( **თ. ვ. ჯაყელი.** ( **ა. ზ. გალუსტოვი.**

სტამბა „სინათლე“ რუსის ქუჩა № 3.

რედაქტორ-გამომცემელი **ი. ს. აგლაძე.**